# სარბიელი

სპორტული გაზეთი

შაბათი 23 ნოემბერი 2002 №224 (1746)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს თქვენ ასწლიან ღვინოს დალევთ

## მითხარი შენი დერბი და გეტყვი ვინ ხარ



კახა კალაძე დღეს მეოთხე მილანურ დერბის ითამაშებს

ამკვირაში იყო, ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხე თბილისური დერბი რომ გაიმართა და ამ ოთხმა თამაშმა სიხალისე შემატა ჩვენს, მოგეხსენებათ, როგორ ჩემპიონატსაც.

უხერხული კი იქნება იმის მტკიცებას მოვყვეთ, მილანელებმა თბილისელებისგან აიღეს ესტაფეტაო, თუმცა ქრონოლოგიურად ასეა — დღეს „სან სიროზე" „მილანი" „ინტერს" დაუხვდება.

მილანური დერბის ისტორია ორ ასეულ მატჩს რა ხანია, გადასცდა და კარგი სასმელივითაა, რაც უფრო ძველდება, ინტერესი ემატება.

კალჩიოს დედაქალაქში დღევანდელი დერბი იმითაცაა გამორჩეული, რომ ერთმანეთის პირისპირ ბლომად ძველი მეგობრები დადგებიან და ამ მეგობრობას საათნახევრით საფუძვლიანად დაივიწყებენ.

„მილანი" „ინტერს" დაუხვედრებს: ანდრეა პირლოს, კლარენს ზეედორფს და დარიო შიმიჩს; „ინტერი" კი „მილანს" შეაგებებს: ფრანჩესკო კოკოს, ანდრეს გულიელმინპიეტროს და დომენიკო მორფეოს.

დღევანდელი დერბი მეოთხეა კახა კალაძისთვის და წინა სამიდან მისმა „მილანმა" ორი მოიგო.

და თუ რამაა ცუდი, ის რომ პარალელურად „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" — „რეალია" და როგორ გინდა ორივე თამაშის ერთდროულად ყურება. არადა, ორივე საყურებელია.

იქ, ესპანეთში კი თავისი ანგარიშები ექნებათ ასევე ორ ასეულს რა ხანია გადაცილებულ სუპერკლასიკოში.

სხვა რომ არაფერი, ლუიშ ფიგუს, შარშან ორჯერ რომ აიცილა ბარსელონაში ჩასვლა, ახლა ჩაუსვლელობის საბაბი გამოელია და უთუოდ მოუწევს იუდასა და პესტეროს ძახილის მოსმენა.

ფიგუს ეგებ რონალდოც დაჰკითხოდა, როგორია ძველი ბარსელონელისთვის „კამპ ნოუზე" „რეალის" მაისურით მიბრუნება და მისგან საშინელი პასუხი ალბათ მიიღო.

ჩვენ კი რა... იქნებ სანამ თბილისური დერბების ისტორია ორ ასეულ მატჩს გადასცილდებოდეს, იქამდე მოვსწრებოდით იმათნაირ ჩემპიონატს.

საქართველოს
ფიზკულტურულ-სპორტული
კლუბი „დინამო“ ღრმა
მწუხარებით იუწყება, რომ
ტრაგიკულად დაიღუპა
გამოჩენილი ქართველი
ფეხბურთელი, სახელმწიფო
და საზოგადო მოღვაწე
კახი ასათიანი
და თანაგრძნობას უცხადებს
დაღუპულის ოჯახს და მთელ
ქართველ საზოგადოებას

საფეხბურთო კლუბი
ბოლნისის „სიონი“ მწუხარებას
გამოთქვამს გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საქართველოს კრივის
ფედერაცია მწუხარებით
იუწყება გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
გარდაცვალებას და
თანაუგრძნობს მის ოჯახს

დავით ყიფიანის სახელობის
საერთაშორისო ფონდის
გამგეობა ღრმა
მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა
გამოჩენილი ფეხბურთელი,
სპორტის დეპარტამენტის
ყოფილი თავმჯდომარე
კახი ასათიანი
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი
თბილისის „მერანი“ მწუხარებას
გამოთქვამს გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი
რუსთავის „გორდა“ მწუხარებას
გამოთქვამს გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

აჭარის ფეხბურთის
ფედერაცია და საფეხბურთო
კლუბი „ბათუმი“ მწუხარებას
გამოთქვამს გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

გორის გამგეობა,
სპორტკომიტეტი და
გიორგი კანდელაკი ღრმა
მწუხარებით იუწყებიან,
რომ გარდაიცვალა
გამოჩენილი ფეხბურთელი,
სპორტის დეპარტამენტის
ყოფილი თავმჯდომარე
კახი ასათიანი
და თანაუგრძნობენ
განსვენებულის ოჯახს

სპორტულ ჟურნალისტთა
ასოციაცია ღრმა მწუხარებით
იუწყება გამოჩენილი
ფეხბურთელის
კახი ასათიანის
გარდაცვალებას და
თანაუგრძნობს მის ოჯახს

რამაზ გოგლიძე
ოჯახით იუწყება,
რომ გარდაიცვალა
სპორტის დეპარტამენტის
ყოფილი თავმჯდომარე და
წარსულში სახელოვანი
ფეხბურთელი
კახი ასათიანი
და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

შეგვძრა და გაგვაოგნა
ქართულ ფეხბურთსა და
ქართულ სპორტში
გამორჩეული კაცის
კახი ასათიანის
უმოწყალოდ გამეტებამ.
ვიზიარებთ ოჯახის
მწუხარებას.
*გიორგი ნემსაძე,*
*ზურაბ ხიზანიშვილი* დანდიდან

კახი ასათიანს
ქართველი
გულშემატკივრისთვის ბევრი
სიხარული და სიამაყე
უჩუქებია. მისმა ვერაგულმა
მკვლელობამ დიდად
დაგვამწუხრა და
შეგვაშფოთა. რა ხდება
საქართველოში?!
*კახა კალაძე,*
*რევაზ ჭოხონელიძე* მილანიდან

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XIV ტური

ალენი 1:1 უნიონი
აინტრახტი 1:0 მაინცი
ალემანია 1:2 ვალდჰოფი
დუისბურგი 3:0 ობერჰაუზენი

ჩრდილოეთ
რეგიონალლიგა
XVIII ტური

ესენი 3:1 ბაბელსბერგი
მიუნსტერი 0:0 ქემნიცი

სამხრეთ
რეგიონალლიგა
XX ტური

აალენი 2:3 პფულენდორფი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XIII ტური

ექსელსიორი 0:3 ტილბურგი

II დივიზიონი. XIII ტური

ოსი 1:2 კამბური
ჰელმონდი 2:0 ჰერაკლესი
ჰაარლემი 1:1 ეინდჰოვენი
იგლსი 1:0 მაასტრიხტი
ვეენდამი 2:1 სიტარდი
ვენლო 1:2 დორდრეხტი
დენ ბოსხი 2:1 სპარტა
ემენი 2:0 ტელსტარი

## იტალია

სერია B. XIII ტური

ნაპოლი 1:0 ანკონა

## ბელგია

I დივიზიონი. XIII ტური

ანდერლეხტი 2:0 ლოკერენი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XVI ტური

პსჟ 0:1 ნანტი

## პოლონეთი

XV ტური

ოსტროვეცი 0:0 ვიძევი

## შვეიცარია

A ჯგუფი. XX ტური

ბაზელი 3:0 თუნი

# ბალტიური ბალახი

## ქუთაისი თანამეგობრობას ელის

**ლეგიონერიზაციამ** ქართულ ფეხბურთში თითქოს მოდური ხასიათი მიიღო — დღესდღეობით უკვე ოთხი უცხოელი თამაშობს ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში, თუმც მათი რიცხვი, როგორც ჩანს, გაიზრდება.

საქართველოს სამგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ უკრაინელი შემტევი ანდრი პოროშინი ეცოტავება და ვინძლო რამდენიმე ლეგიონერი კიდევ დაამატოს. სწორედ ამის თაობაზე მივმართეთ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ დიმა რამიშვილს.

— ლეგიონერების გუნდში აყვანას მართლაც ვაპირებთ, თუმც საშუალეზონო შესვენებამდე ეს არ მოხდება. მაგრამ უკვე ვაკვირდებით ზოგიერთ ფეხბურთელს, კერძოდ, რიგის „სკონტოს“ რამდენიმე მოთამაშეს. თუ მათ გადმობირებას გადავწყვეტთ, ამ საქმეში მენეჯერი მიხეილ ძოძუაშვილი დაგვეხმარება.

**— მხოლოდ სკონტოელებს აკვირდებით?**

— არა. მოგეხსენებათ, იანვარში ესენგეს თასზე ვითამაშებთ მოსკოვში და იქ ტურნირის მონაწილე სხვადასხვა გუნდების ფეხბურთელებსაც დავაკვირდებით. ერთი სიტყვით, ცვლილებები იქნება, რაზეც გარკვეულწილად „დინამოსთან“ და „ლოკომოტივთან“ მოახლოებული შეხვედრებიც მოახდენს გავლენას.

**— როგორც ვიცით, ზაზა ზირაქიშვილი „დინამოსგან“ ჯერ არ გამოგისყიდიათ, თუმც მისი მენისკის ოპერაციის ხარჯები „ტორპედომ“ დაფარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზირაქიშვილი მეორე ეტაპზეც ტორპედოელი იქნება?**

— ვნახოთ, თუ ზირაქიშვილი ფორმას აღიდგენს, რატომაც არა. როცა ის „დინამოდან“ ჩვენთან მოვიდა, ეს ჩვენი მხრიდან ამ ფეხბურთელის დახმარების სახესაც კი იძენდა. რაც შეეხება „დინამოს“, ამ კლუბთან არანაირი პრობლემა არ გვექნება, რადგან „დინამოს“ ეს ფეხბურთელი არ ჭირდება.

**დავით თავართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი (მარცხნივ) კვლავ „ტორპედოსთვის“ იბურთავებს

# შუშაკმა დერბი დაივიწყა

## დინამო გადატკეპნილზე დაამტკიცებს

**„გორდა“ — „დინამოს“** დაპირისპირება ერთ დროს მეტად პრინციპული იყო. ეს გუნდები სათასო ფინალშიც გადაეყარენ ერთმანეთს, ეროვნული ჩემპიონატის გარიჟრაჟზე რუსთაველები სტუმრადაც ამარცხებდნენ სახელოვან მეტოქეს, თუმც მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და „გორდა“ — „დინამოს“ დაპირისპირებისას ფავორიტები ტრადიციულად დედაქალაქელები არიან, გამარჯვებულნიც თითქმის ყოველთვის თბილისელები რჩებიან.

„დინამო“ დღესაც ფავორიტია მეთვრამეტე ტურის რუსთავულ შეხვედრაში. „ბიჭები ჩინებულ ფსიქოლოგიურ განწყობაზე არიან, ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ გავიმარჯვეთ, ლიდერობა დავიბრუნეთ და რუსთავში აღმაფრენით უნდა ვითამაშოთ“ — თქვა გუშინ ათგზის ჩემპიონთა ხორვატმა თავკაცმა ივო შუშაკმა. შეძლო კი „დინამომ“ „დერბული შოკიდან“ თავის დაღწევა — სწორედ ეს აქვთ დასამტკიცებელი დღეს სტუმრებს.

ფავორიტი რუსთავში ვერ ჩაიყვანს კარლოს და როჩას, რომელიც ერთი კვირაა დაშავებულ მუხლს მკურნალობს და მხოლოდ ძუნძულს დასჯერდა გუნდის გუშინდელი ვარჯიშისას. სათუოა ოთარ ხიზანეიშვილის თამაში, ტრავმამოშუშებულმა მცველმა გუშინ განცალკავებით ივარჯიშა. დანარჩენები ჯანზე არიან და შუშაკს თუ ვერწმუნებით, ბოლო ტურში „გორდას“ მიერ ალმავლობით ჩატარებული მატჩის მიუხედავად და მისი უცხოეთში ნამუშევარი მწვრთნელის ფაქტორის გათვალისწინებით, სტუმრები შანსს არ მისცემენ რუსთაველებს.

თავის მხრივ მოკრძალებული ამბიციების „გორდაც“ გამალებით ემზადება დღევანდელი მატჩისთვის. რუსთაველებმა გუშინ სპეციალური მანქანით გადატკეპნეს და ოდნავ მოარჯულეს „ფოლადის“ ოღროჩოღრო საფარი. გუნდის მწვრთნელი გია გეგუჩაძე, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებულ ლაშა ალადაშვილსა და ზურაბ ლაბაძეს მოისაკლისებს, მაინც იმედიანადაა, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, თუ გაგვიმართლა ამაზე კარგ საჩუქარს გიორგობა დღეს ვერც ვინატრებო — გვითხრა.

**ბაატა ძგანტალიანი**



პირველი წრის „დინამო“ — „გორდას“ მერე რუსთაველები მოწიწებით დაემშვიდობნენ ივო შუშაკს


# იყიდება

მუხიანში კინო-თეატრის შენობა ეზოთი.
შენობის ფართი 1000 მ², ეზო 3500 მ²
ალ. გობრონიძის ქუჩა №10

☎ 34 38 12,
899 16 08 37



# იყიდება უნიკალური წიგნები



ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“ (1885) და „მზა-მეტყველება“ (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 14 პირველი ეტაპი

# 18 ტური

# ფილიამ ზეექვსეული გაშანსა

თბილისი. 22 ნოემბერი. 15 საათი. სინათლე. 1 000 (ტევადობა 3 000)

## მერანი 0:0 კოლხეთი

| | |
|---|---|
| მერანი: ნაჭყებია, გუჯაბიძე, დვალი, მესხი, გ. ილურიძე, ბაჯელიძე (მ. ნოზაძე 69), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (თუთარაშვილი 57), ი. შენგელია, ტინტარაული, ჩილვინაძე. სათადარიგონი: გ. გაბელია, ადუაშვილი, გრიგორიევი, მაზანიშვილი, გ. მ. რევაზიშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია | კოლხეთი: მ. გვასალია, ქუტიძე, მ. ქობულაძე, სვანიძე, გოროზია, გაბიდაური, ფანჩულიძე, ე. გვასალია, ნიტაიშვილი (კრასოვსკი 89), გაგუა (ნარსია 38), გოშმაროვი. სათადარიგონი: ჩემია, ბაზილავა. მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: თუთარაშვილი (81), ილურიძე (88)

მსაჯები: მ. ბილალურაძე, ზ. ჯვარიძე, კ. თბილელი, ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ჯარიმა: 16-15; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 1-5; კარში დარტყმა: 3-5; თამაშგარე: 5-1

მამუკა ქვანტალიანი

**თბილისურ „მერანს“** გუშინ ავჭალაში ნასტუმრები „კოლხეთისთვის“ რომ მოეგო, საზეექვსეულო შანსებს ერთიორად გაიზრდიდა, მაგრამ ძალიან ლუნე, შეცდომებით სავსე თამაშის ფონზე ფოთელებმა ფრე გაახერხეს და შინისკენ გულდაარხეინებულებმა გასწიეს.

„მერანმა“ ჯერაც შერჩენილი მცირე შანსი რეალობად რომ აქციოს, დარჩენილ ოთხ ტურში სამი თამაში მაინც უნდა მოიგოს, თუმცა, თუ კოლხებმა არ წაიფორხილეს, ესეც არ იქნება საკმარისი.

ავჭალელები დარჩენილ ოთხ ტურში კახურ „მილანს“ და „ლოკომოტივს“ ესტუმრებიან, ხოლო „დინამოს“ და „სიონს“ უმასპინძლებენ. ამ მატჩებიდან რომელში შეიძლება გარანტირებული სამი ქულის დაგეგმვა, თავად განსაჯეთ.

ახლა „ფაზისის“ მკვიდრთა ჩასატარებელ თამაშებს მივუბრუნდეთ. „კოლხეთი“ „ბათუმს“ და დაბეჩავებულ „მეტალურგს“ ისტუმრებს, ხოლო „დილას“ და „ვიტ ჯორჯიას“ თავად ეწვევა. სოსო ფილიას გუნდს რომ უკეთესი კალენდარი აქვს, საკამათო არ უნდა იყოს.

ოთარ გაბელიას მატჩის დაწყებამდე ყველა შესაძლო ვარიანტი მისხალ-მისხალ ექნებოდა გათვლილი, ამიტომაც მოითხოვდა თავისი შეგირდებისგან უფრო მეტ შემართებას, თუმცა მოუმზადებელ „მერანს“ პირველი ეტაპის მიწურულს ბოლო ძალებიც ეცლება და გადამწყვეტ მომენტში ვერ შეუტიეს მასპინძლებმა.

სოსო ფილიას ახეთი სტაბილური შემადგენლობა თითქმის სეზონის დასაწყისიდან არ გაუყვანია სათამაშოდ. ტრავმირებული გრიშიკაშვილის გარდა გუშინ ყველა უძლიერესი ფეხბურთელი მოედანზე ჰყავდა. მართალია, შეტევათა ორგანიზატორი გაგუა პირველ ტაიმშივე შესაცვლელი შეიქნა, მაგრამ დანარჩენებმა მწვრთნელის ჩანაფიქრის ასრულება მაინც მოახერხეს. ვალერიმ კი, როგორც თავად გვითხრა, კუნთი დაიჭიმა.

„კოლხეთს“ „სინათლიდან“ ქულის წაღება ეწადა. სტუმრებმა დიდი ვერაფერი თამაში გვაჩვენეს, მაგრამ ვითარების გაუმწვავებლად საწადელი მაინც აისრულეს.

ფოთელებმა 90 წუთის მანძილზე რამდენჯერმე შეაწუხეს ნაჭყეპია, მაგრამ მასპინძელთა მეკარისთვის მხოლოდ ერთი იყო საშიში. მეორე ტაიმის შუაწელში გელა ფანჩულიძემ მახვილი კუთხიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმა ოსტატურად შეასრულა, ბურთის კარში ჩახვევა მოიწადინა და რომ არა ხარიხა, მიზანსაც მიაღწევდა.

თავის მხრივ გასატანი „მერანსაც“ ჰქონდა. კოლხთა უკანა ხაზი მთლად უშეცდომო ვერ იყო და ხიფათიც რამდენჯერმე შექმნეს მასპინძლებმა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კარში დარტყმას ვერ ახერხებდნენ.

სტუმართა მეკარე გვასალია თამაშში სერიოზულად ერთხელ ჩაერთო. ირაკლი შენგელიას მატჩის ბოლოს საგოლე მომენტი შეექმნა, ოდნავ მახვილი კუთხიდან ძლიერადაც გაისროლა, მაგრამ ბურთი მეკარის ხელიდან კუთხურზე გადავარდა.

ნამატჩევს მასპინძელთა ლუნე თამაშის მიზეზად ბევრმა უხარისხო მოედნის საფარი დაასახელა. ეს მთლად ყურით მოთრეული საბაბი როდია, „სინათლის“ პატრონი უკეთეს საფარსაც ინატრებდა, მაგრამ უხარისხობის ძირითადი მიზეზი „მერანის“ აწ უკვე ისტორიას ჩაბარებულ გაჭირვებულ ყოფაში უნდა ვეძებოთ.



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

მერანელმა გოჩა გუჯაბიძემ რამაზ სვანაძე არ გაუშვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 1 | 2 | 40:5 | 43 |
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 37:11 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 12 | 1 | 4 | 29:9 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 1 | 4 | 29:11 | 37 |
| სიონი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| კოლხეთი | 18 | 7 | 3 | 8 | 19:27 | 24 |
| მერანი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:30 | 19 |
| მეტალურგი | 17 | 5 | 1 | 11 | 10:35 | 16 |
| ბათუმი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:23 | 14 |
| გორდა | 17 | 4 | 0 | 13 | 15:31 | 12 |
| დილა | 17 | 3 | 3 | 11 | 9:24 | 12 |
| მილანი | 17 | 3 | 3 | 11 | 9:30 | 12 |

პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება. მეცხრე ტურში „მეტალურგს“ „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთორმეტე ტურში „მერანს“ „გორდასთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3. მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს“ „ტორპედოსთან“ ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 11 - იონანიძე | ტორპედო |
| 10 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 9 - დარასელია | დინამო |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| 7 - ბოდერაშვილი | სიონი |

გია ახვლედიანის

სვეტი

## ბოლო შეხვედრების შემდეგ

ასე თქვი, ისე თქვი და ბოლო დროს ფეხბურთის ცქერა ჩვენს სტადიონებზე საინტერესო შეიქნა. თბილისის მინდვრებს ვგულისხმობ, სადაც ამ ორ კვირაში რამდენიმე დერბი ნაენყო და ამ თამაშებში ბრძოლაც იყო, შეძლებისდაგვარი სისწრაფე, ოსტატობაც და ტაქტიკათა დაპირისპირებაც.

სხვანაირად რომ ეთქვათ, ნამდვილი თამაშები გამოვიდა სამ თბილისურ გუნდს შორის. ამ თამაშებს ვარსკვლავები და სათანადო მაყურებელი თუ აკლდა, თორემ მეტი ბევრი არც არაფერი. ამ უცხოელმა მწვრთნელებმა, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ივო შუშაკი გახლავთ, მართლაც დაატყვეს ხელი თავიანთ გუნდებს. კარნევალის „ვიტ ჯორჯია“ და ცაკარიასის „ლოკომოტივიც“ გამართულად მოძრაობენ და თამაშობენ მართლაც ფეხბურთს. სხვა ამბავია, რომ ეს ფეხბურთი უკეთესი და უკეთესი უნდა გახდეს.

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ოთხ გუნდს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს (და აქა-იქ უცხოელი ფეხბურთელებიც გამოერევიან). სამი თბილისური გუნდია და ერთი ქუთაისური. ამათ შეუძლიათ წინ იყურონ და ადამიანებს შეჯიბრთან ერთად ფეხბურთიც უჩვენონ. სულაც არ მინდა, რომ ეს მაგალითი არითმეტიკული მიდგომით ამოიხსნას. აქაოდა, რახან გუნდებს უცხოელი მწვრთნელები ჰყავთ, წინაც ამიტომ არიანო. ეს ოთხი გუნდი მართლა გუნდია თავისი მეურნეობითა და ფინანსებით. ალბათ, მოვა დრო და ამათში უფრო სახელოვანი მწვრთნელები და ვარსკვლავებიც გამოჩნდებიან, მანამდე კი ნამდვილად სწორია ამ გუნდების მუშაობის და ცხოვრების პრინციპები. ყველაფერი თავიდან იწყება და თავიდან, ჩვენი ფეხბურთელებისთვის სრულიად საკმარისია თუნდაც უსახელო უცხოელ მწვრთნელთა ხელქვეით მუშაობა. ამ ოთხი კლუბის მაგალითი გადამდები უნდა იყოს, ვინაიდან ამათ მიაღწიეს იმას, რომ ვარჯიში და მომზადება თანამედროვე ხერხებით მიმდინარეობს, მწვრთნელი მწვრთნელია, ხოლო მოთამაშე მოთამაშე.

ცხადია, შედეგებიც არ აყოვნებს და თამაშები არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ, თამაშის მხრივაც იქცევს ყურადღებას. ამ გუნდების მაგალითი იმაშიც გვარწმუნებს, თუ რა იოლად შეუძლიათ ჩვენს ფეხბურთელებს სწორ, ნამდვილ საფეხბურთო ლიანდაგებზე გადასვლა.

ამიტომ, ეს ყველაფერი კარგია. ჯერჯერობით ცოტაა, მაგრამ კარგია. რა თქმა უნდა, ვიოცნებებდით მეტ შთამბეჭდავ მოთამაშეზე, მინდორზე ქცევის კულტურაზე და კიდევ ათას რამეზე, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით ძალიან ბევრია. ჩვენში გავრცელებულ აზრს უკრაინული მოდელის, ერთი სუპერგუნდის შექმნის და მასზე სწორების შესახებ ნამდვილად ასე სჯობია. მით უმეტეს, რომ იმავ უკრაინაში ერთი გუნდის იდეა მართლაც მოსპო დონეცკის „შახტარმა“.

რაც მეტი, მით უკეთესი. წინ და წინ. ასე რაღაც გამოვა, აუცილებლად კარგი.

# წაგებული ქართველებთან ექებეთ

## ცხრამეტწლამდელები საქმეს ჩრდილოეთ ირლანდიასთანაც დაიჭერენ

**გუშინ** საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ბოლო მეტოქის ვინაობაც გაირკვა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეშვიდე ჯგუფი ჩრდილოეთ ირლანდიამ შეავსო.

ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2003 წლის შემოდგომას ლიხტენშტაინში ჩატარდება, იქამდე კი ჯერ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი იყო, წარმატებით რომ დაძლიეს ოთარ კორძაიძის ბიჭებმა. ქართველებმა ქვეჯგუფში ბელგიელებთან მარცხის შემდეგ უკრაინას და ფარერებს სძლიეს, იპირველეს და მეორე შესარჩევ ეტაპზე მოხვდნენ.

მეშვიდე ჯგუფში იტალია და ლატვია გვერგო მეტოქეებად, ჯგუფის მეოთხე ბინადარის ვინაობა კი ახლაღა გაირკვა, რაკილა მეთერთმეტე ქვეჯგუფში საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ნოემბერში ჩატარდა. მასპინძელი ჩრდილოეთ ირლანდია იყო. მეტოქეებად კვიპროსელებს ანდორა, უნგრეთი და მეზობელი უელსი ჰყავდათ.

პირველ ტურში უნგრელებმა უელსი გაანადგურეს — 5:0, მასპინძლებმა კი ანდორას 4:0 აჯობეს. გამარჯვებულებმა მეორე ტურშიც იყოჩაღეს. უნგრეთმა ანდორა დაამარცხა 4:0, ჩრდილოირლანდიელებმა კი ამავე ანგარიშით უელსი ჩაყლაპეს. ქვეჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ტურშიღა გაირკვა. ჩრდილოეთ ირლანდია—უნგრეთის მატჩში სტუმრებმა იმარჯვეს 2:1 და მასპინძლები საქართველოსთან გამოუშვეს, თავად კი შესარჩევი ეტაპის მეექვსე ჯგუფში აღმოჩნდნენ საბერძნეთის და ჰოლანდიის კომპანიაში.

რაც შეეხება ჩვენს მომავალ მეტოქეს — ჩრდილოირლანდიელები ტიპური ბრიტანული სკოლის წარმომადგენლები ჩანან. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე 9 გოლიდან მასპინძლებმა შვიდი თავით გაიტანეს. ნაკრების მწვრთნელი მელაკი ლონაპოუა, გამორჩეული ფეხბურთელები კი მეკარე მაკგოვერნი და მეგოლე ტაგარტი არიან.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გაიმართება შესარჩევი ეტაპის მატჩები, არც ის გარკვეულა, ვინ უმასპინძლებს ჯგუფის თამაშებს, თუმცა მასპინძლობის კარგი შანსი იტალიელებს აქვთ, რაკილა საქართველომ, ლატვიამ და ჩრდილოეთ ირლანდიამ საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები შინაურ კედლებში გამართეს.

ლიხტენშტაინში ჯგუფის გამარჯვებული გაემგზავრება.

ბაატა ქვანტალიანი



ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მოგებით გახარებულ ქართველებს მეტოქედ ჩრდილოეთ ირლანდიაც ეყოლებათ



დღეს დიდი დერბია, „მილანი" — „ინტერი". საფეხბურთო ევროპის ნახევარი სწორედ იტალიისკენ გაიხედავს, ნახევარიც ესპანეთისკენ, იქ „ბარსელონა" — „რეალია". ჩვენთვის უფრო საინტერესო მილანური მატჩი უნდა იყოს, მიზეზი სულ უბრალოა, სხვა ვარსკვლავებთან ერთად „სან სიროზე" ქართველი კახა კალაძე ითამაშებს. ინტრიგა „მილან" — „ინტერს" არასდროს დაჰკლებია და დღევანდელი მატჩი რატომ იქნება გამონაკლისი. „სან სირო" ორივე კლუბისთვის საშინაო სარბიელად კი ითავლება, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ აქამდე „მილანს" საკუთარ მოედანზე ქულაც არ დაუკარგავს, „ინტერი" კი სტუმრადაა დაუმარცხებელი. საქვეყნოდაა ცნობილი ინტერელთა დაცვის სიძლიერე და ასევეა გამორჩეული „მილანის" თავდასხმა. აქეთ ინძაგი და რივალდო, იქეთ — ვიერი და კრესპო... მოკლედ, ვარსკვლავთცვენა „სან სიროზე", მათ შორის ერთი კახა კალაძე

# ომი ერთი კვირის წინ დაიწყო
## კალაძე მილანელოში შეიარაღდა

— უკვე ერთი კვირაა, მილანი შაბათის მატჩით ცხოვრობს. ამ ქალაქისთვის და საერთოდ, მთელი იტალიისთვის „მილანი" — „ინტერი" გამორჩეული შეხვედრაა. ვისაც რა აქვს დასამტკიცებელი, სამისოდ უკეთესი შანსი არც ექნება — გვითხრა კახამ — ტიფოზებს შორის დაპირისპირება უკვე დაიწყო, თუმც ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობს. ხომ იცით, ქალაქი გაყოფილია, ნახევარი ჩვენ გვქომაგობს, ნახევარიც — „ინტერს". ასევე იქნება სტადიონზეც. „მილანი" ამ შეხვედრისთვის ჩვეულებრივი რიტმით ემზადებოდა, არაფერი განსაკუთრებული, ჩემპიონატის მორიგი მატჩია ლიდერთა მონაწილეობით.



კახა კალაძისთვის მილანური დერბი გამორჩეული მატჩია

**— არაფრით გამორჩეული?**

— გამორჩეული როგორ არ არის, ჩემპიონატის დაწყებიდან ქომაგი ამ თამაშს ელის, თუმც გუნდი საგანგებოდ არ ემზადება, გრაფიკი არ შეცვლილა. მოედანზე ისევე დავიხარჯებით, როგორც „რომასთან", „იუვენტუსთან", „ლაციოსთან" მატჩებისას. თავგადაკლული ქომაგობა კი თამაშისას ორივე გუნდისთვის დიდი სტიმული იქნება.

**— „მილანის" შემადგენლობა უკვე დასახელებულია?**

— ჯერ არა, ხვალ დილით გამოაცხადებს მწვრთნელი.

**— ითამაშებ თუ არა, არ იცი?**

— ვითამაშებ, დარწმუნებული ვარ.

**— ნესტას არყოფნით დიდი ძალა დაგაკლდებათ.**

— დაგვაკლდება, მაგრამ შეუცვლელი არავინაა. არაა გამორიცხული, მწვრთნელმა დაცვის ხაზი გადააწყოს და ნაჩვევისგან განსხვავებულად გვათამაშოს.

**— რას გულისხმობ?**

— არაფერ კონკრეტულს. ეგებ სამი მცველით ვითამაშოთ, ხუთით, ოთხით — ლიბეროთი.

**— თავდასხმაში სამი ფორვარდი იქნება?**

— „ინტერს" ისეთი დაცვა ჰყავს, სხვანაირად დაჩაგვრა გაგვიჭირდება. თუმც ვერ გეტყვით, მწვრთნელი რას ფიქრობს. ეს მისი საქმეა.

**— პროგნოზს გააკეთებ?**

— გამიჭირდება. ისე ჩვენს სიძლიერეში დარწმუნებული ვართ. ბოლო დერბი წავაგეთ და ამ შეხვედრის წინ ესეც გვახსენდება. ხვალ ჩვენ მოვიგებთ. შეგვიძლია და ამიტომ ვამბობ.

**ძობა ინასარიძე**


რესტორანი მშიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით


# აარაუს ქვა დაღმართში დაეწია
## ფეხბურთელთა მოთხოვნას პრეზიდენტმა სეკვესტრით უპასუხა

*შვეიცარიული „აარაუს" საქმეები უკან-უკან მიდის. ეროვნულ ჩემპიონატში ყველასთვის „დაბალ ღობედ" ქცეული აუტსაიდერი ახლა ფინანსურმა პრობლემებმაც შეაწუხა და კლუბის მომავალიც ერთობ ბუნდოვანი გახდა. „აარაუს" ბიუჯეტის გარღვევამ ქართველ თავდამსხმელ ლევან ხომერიკსაც შეუთხელა ჯიბე. გახსოვთ, ალბათ, ცოტა ხნის წინ ჩვენებურმა „სარბიელთან" ინტერვიუში დაიჩივლა, კლუბი ხელფასს არ მიხდისო.*

მას შემდეგ ხომერიკმა ადვოკატი ჩართო საქმეში და ხელმძღვანელობაც იძულებული გახდა, მისთვის ორი თვის ხელფასი მიეცა, დანარჩენი კი... თუმც ახლა ქართველი ფეხბურთელის ბედი მისმა თანაგუნდელებმაც გაიზიარეს.

— „აარაუ" საშინელ დღეშია. მის გაკოტრებას ბევრი არ უკლია და ერთობ გაუგებარი ვითარებაა. კლუბის ხელმძღვანელობას ხელფას-პრემიების გადახდა აღარ შეუძლია და ფეხბურთელებსაც ეუბნებიან, სხვა გუნდში გადასვლა უპრობლემოდ შეგეძლებათო — გვითხრა გუშინ ლევან ხომერიკმა სატელეფონო საუბრისას.

სატურნირო ცხრილში ბოლო საფეხურის ულრტვინველად მტკეპნავი „აარაუ" გამოსავლის ძიებაშია. კლუბის თავკაცობა ფეხბუთელებს შეხვდა და მათთან შეთანხმებასაც მიაღწია — პირველ ეტაპზე ფეხბურთელებს მხოლოდ ხელფასის 60 პროცენტს გადაუხდიან, მერე კი, თუ სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალა, დარჩენილსაც გაუსტუმრებენ.

— კლუბსა და ჩემს ადვოკატს შორის სასამართლო პროცესი ჯერაც გრძელდება. „აარაუ" ვალდებულია, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები შეასრულოს. ცოტა ხანიც და, მერე ალბათ სხვა გუნდს მოვძებნი. აქ გაჩერება უკვე აღარ შემიძლია — გვითხრა ხომერიკმა.

მანამდე კი ჩვენებურს მუხლის მოშუშება მოუწევს. მან ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა და ახლა აღდგენით პერიოდს გადის. ამის გამო მთავარი მწვრთნელის მოთხოვნით ძირითადი შემადგენლობიდან სარეზერვო გუნდში გადაყვანილი ხომერიკი იქაც ვერ თამაშობს, თუმც, თუკი მის სიტყვებსვე დავუჯერებთ, მეორე გუნდში თამაშს ინდივიდუალურად ვარჯიში სჯობს.

ბოლოს კი ლევანს მომავალ კლუბზეც დავეკითხეთ და შეკითხვაზე ამდენი ხნის უთამაშებლს სხვაგან გადასვლა ხომ არ გაგიჭირდებაო, ეს გვითხრა:

—ახალი გუნდის მოძებნა ცხადია, რთული იქნება, მაგრამ რა ვქნა? ჯერჯერობით არანაირი ვარიანტი არ მაქვს. ახლა მთავარია, მუხლი მოვირჩინო, მერე კი რაღაც გამოჩნდება. მენეჯერი მეუბნება, უგუნდოდ არ დაგტოვებო. მეც ველოდები.

**ძახა შალამბერიძე**



ლევან ხომერიკის (მარცხნივ) „აარაუს" ფული უჭირს



რკინიგზელთა კაპიტან დმიტრი ლოსკოვისთვის ბავშვობაში მამას სასარგებლო რამეები უსწავლებია

# ლიანდაგებზე ნაპოვნი ოქრო
## ვერცხლში ჩაძირული გაზაევი

**რუსეთი**

**მატჩი პირველი ადგილისათვის**

**ცსკა 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ლოსკოვი (6)

**„ოქროს მატჩის"** შემდეგ მოსკოვში, „დინამოს" სტადიონის გარშემო მოხეტიალე 112 გამორჩეულად მთვრალი გულშემატკივრიდან 92 გამოსაფხიზლებელში გაამგზავრეს.

საერთოდ, მატჩის მსვლელობისას და ნამატჩევს ჩხუბი და თავპირისმტვრევა არ მომხდარა. რუსი ფანები ერთურთს მშვიდობიანად დაშორდნენ. ვინ სად გასწია ჩასაცეცხლად, უცნობია, მხოლოდ ერთია ნაღდი — რუსეთის ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" იქვე სტადიონის რესტორან „დინამოში" აღნიშნა გამარჯვება.

აქამდე პოსტსაბჭოურ რუსეთს ოდენ ორი ჩემპიონი ჰყავდა — „სპარტაკი" და ვლადიკავკაზის „ალანია". ახლა მესამე შეემატა — მოსკოვის „ლოკომოტივი", რომელიც პირველობისკენ ნელნელა მიიწევდა. ახალჩემპიონთა მწვრთნელი იური სიომინი მოთმინებით ელოდა ამ დღეს. ხან მესამეობას დასჯერდა, ხან მეორე ადგილს უწია, ბოლოს კი, როცა „სპარტაკს", საერთოსახალხო გუნდს, საძირკველი შეერყა, პირველობა მოიხელთა.

რკინიგზელები მთელი სეზონის მანძილზე ლიდერობდნენ და მხოლოდ სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე დაუთმეს ცსკა-ს ცხრილის სათავე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოქროსმაძიებლებმა ერთნაირი ქულები დააგროვეს და ჩემპიონის ბედიც „ოქროს მატჩში" გადაწყდა.

შეხვედრის მსვლელობისას, როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ, დაძაბული ვითარება იყო. პირველ ტაიმში მეტოქეები 30-ჯერ დაჯარიმდნენ, რაც თავისთავად მიუთითებს მატჩის მნიშვნელობაზე. სხვათა შორის, თამაშს ცნობილი რუსი ფეხბურთელის, ვალენტინ ივანოვის შვილი სჯიდა და კარგადაც შეასრულა თავისი მოვალეობა.

აღსანიშნავია, რომ როგორც ხშირად ხდება, ოქროს ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. მეექვსე წუთზე ცსკა-ს საჯარიმოში ბურთი ჩაიხლართა. მცველებმა ვერაფრით გამოიტანეს, ბოლოს კი „ლოკომოტივის" კაპიტანმა ლოსკოვმა მოიხელთა და ცაციათი რუსლან ნიგმატულინს მარცხენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაურტყა.

თურმე თავის დროზე ლოსკოვის მამა შვილს ორივე ფეხით დარტყმაში ავარჯიშებდა, რა იცი, სად გამოგადგებაო...

თვითონ ლოსკოვმა ჩემპიონატის დაწყების წინ თორმეტი გოლი და პირველობა ინატრა. „ლოკომოტივის" კაპიტნის სეზონში მეშვიდე გოლი გადამწყვეტი გამოდგა. არც იმის დავიწყება ეგების, რომ წინა, ბოლო ტურში ლოსკოვის გოლით იმარჯვეს რკინიგზელებმა და „ოქროს მატჩში" ადგილიც სწორედ იმ გოლით დაიბევეს.

დროდადრო იური სიომინი პირჯვარს იწერდა, რადგან გაშვებულის შემდეგ გაზაევის ცსკა-მ არაერთხელ სახიფათოდ შეუტია. განსაკუთრებით არმიელთა ჯილა, სემაკი გამოირჩეოდა. სხვათაგან განსხვავებით, ის უფრო აქტიურობდა, ადგილს ხშირად იცვლიდა, თვითონაც ჰქონდა მომენტები და თანაგუნდელებსაც ჭკვიანური პასებით ამარაგებდა. რამდენჯერმე ოჭნიკოვს მოუხდა ოსტატობის გამოვლენა.

ლოკომოტიველთაგან ობიორა და სენიკო კონტრშეტევებზე ხშირად აწუხებდნენ მეტოქის მცველებს, თუმცა კარში დარტყმამდე საქმე თუ მივიდოდა, ისევ ლოსკოვი გაისროდა ხოლმე ხანდახან.

მატჩი დასალიერისკენ რომ გადაიწურა, ცსკა-მ მეტად მოინდომა, ხიფათიც ამრავლა ნიგმატულინის კართან, მაგრამ ოქრო საბოლოოდ „ლოკომოტივს" დარჩა.

მოედანზე გამარჯვებულთა ხტუნაობა ერთი ტაიმით გაგრძელდა, მერე ოდენ ერთმა, იური სიომინმა გადაინაცვლა საპრესკონფერენციო დარბაზში. ჩემპიონების გასახდელში კი შამპანური ვერ მოიძიეს, რესტორანში კი ერთი საათი დაჰყვეს.

იური სიომინი: „დამარცხებულთაგან ჩემთვის გამარჯვება არავის მოულოცავს. ჩვენთვის ცსკა-ს საუკეთესო მოთამაშის, სემაკის გაუვნებლება იყო მთავარი, რაც ნიჟეგოროდოვმა მთლიანობაში შეძლო კიდეც. ცხადია, 25 დღის განმავლობაში რვა ჩატარებულმა მატჩმა გადაგვღალა, მაგრამ, როგორც ნახეთ, ძალები შემოგვრჩა. იმედი მაქვს, დორტმუნდის „ბორუსიასთან" საბრძოლველად სათანადოდ მოვემზადებით, მიუხედავად იმისა, რომ რთული კალენდარი გვქონდა. როგორც კი მოედანზე გასული ჩემი შემართული ბიჭები დავინახე, მივხვდი, მატჩს მოვიგებდით. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც მხარში გვედგა და ბოლომდე ერთგულად გვიქომაგა."

ბოლოს კი იმას დავძენთ, რომ ჩემპიონმა ერთი მილიონი დოლარი ჩაიჯიბა.

**მაჟა ხუციშვილი**

# სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს...

*ნაღდად არ დაგვითვლია, რუსეთის ჩემპიონატის „ოქროს მატჩზე" ერთ მილიციელზე რამდენი ქომაგი მოდიოდა. ის კი დავითვალეთ, რომ მატჩის მიწურულს ოთხი თუ ხუთი მაშხალა ისროლეს, ხოლო ჩვენმა რუსმა კოლეგებმა გამოსაფხიზლებელში წაყვანილი ასამდე ფანი დაითვალეს.*

*ადრეც, როცა საბჭოეთს კომპარტიის მძლავრი ხელი მართავდა, ყველაფერი წესიერად ვერ მთავრდებოდა ხოლმე, რის დასტურადაც ერთ ძველ მატჩს გავიხსენებთ*

**1966 წლის** ოქტომბერში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (რა უბედურებაა) პრეზიდიუმის გენერალური მდივნის საგანგებო მიწვევით მოსკოვს მაროკოს მეფე ჰასან მეორე ეწვია. ცხადია, მეფე ცალკე თვითმფრინავით ჩაფრინდა, ხოლო მას მეორე რეისით ჰ ასანის შეიარაღებული ძალების საფეხბურთო გუნდი ჩაჰყვა. ეს გუნდი, რა გასაკვირია, თავის ქვეყანაში ყველაფერს, ჩემპიონატს და თასს მუდმივად იგებდა, რადგან მეფისა იყო და უნდა მოეგო. დანარჩენი კლუბები მეორეხარისხოვანნი იყვნენ და მოწმეების როლს თამაშობდნენ.

ჰასან მეორის ოფიციალური ვიზიტის პროგრამაში სხვა ღონისძიებებთან ერთად მოსკოვის „დინამოსა" და მაროკოული გუნდის ამხანაგური მატჩის გამართვაც შედიოდა, რომელიც 27 ოქტომბერს ჩატარდა. პირობა ისეთი იყო, რომ „დინამოს" კარი აუცილებლად ლევ იაშინს უნდა დაეცვა, შეხვედრას კი მაროკოს მეფე დაესწრებოდა.

საამბოლოდ სცენარი სათანადო ორგანოების მიერ დაიწერა, რომლის შედგენაშიც სტადიონის დირექცია და სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრო მონაწილეობდნენ.

მოსკოვური შემოდგომა უმური, წვიმიანი ამინდითაა ცნობილი, ასეთ დროს კი ვიღაც მაროკოელების ბურთაობის საყურებლად ჰა, ჰა, ათასიდან ორი ათასამდე ქომაგი მისულიყო, რაც მეფეს არ ესიამოვნებოდა და საბჭოელებს კი სტუმრის უპატივცემულობად ჩაეთვლებოდათ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გულშემატკივრების მიყვანა სტადიონის დირექციას აჰკიდა. ერთი სიტყვით, როგორც მაშინ ხდებოდა, „მაროკოული ფეხბურთის თაყვანისმცემლები" უნდა მოეძებნათ.

„ლუჟნიკების" დირექტორ მიხაილ ბორისოვს იდეა ეწვია: ქალაქის პარტორგანიზაციას დახმარება სთხოვა და 10 ათასამდე სტუდენტს სტადიონზე ძალით უკრეს თავი. სტუდენტები აღმოსავლეთ ტრიბუნაზე შერეკეს, რათა საპირისპირო მხრიდან მაროკოელ ვეირგვინოსანს დაენახა.

„ლუჟნიკებზე" არაერთი მსგავსი ღონისძიება ჩატარებულა, რომლის მომზადებაშიც ათასი ჯურის ზემდგომი მონაწილეობდა. ამჯერადაც იგივე მოხდა. სცენარი მისხალ-მისხალ დაიწერა. მასში იყო ასეთი პუნქტი: მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე საბჭოური და მაროკოული მუსიკის ჰანგები ჩანაცვლებით გაიჟღერებდა, მერე ძალით შეყრილ სტუდენტობას მიაწვდიდნენ ინფორმაციას აფრიკული ქვეყნის ყოველწლიურ ბიუჯეტზე და მათ ჩახუტებულ დამოკიდებულებაზე სსრკ-სთან. დაბეჭდეს ლამაზ-ლამაზი ლოზუნგები რუსულ და არაბულ ენებზე, რომლიც ორი ქვეყნის სასიყვარულო ურთიერთობებს ეხებოდა. მთავარი ის იყო, რომ მოედნის ცენტრში ტრადიციული ხელის ჩამორთმევის შემდეგ ტრიბუნაზე ასულ ლევ იაშინს ჰასან მეორისთვის ბროლის ბურთი უნდა გადაეცა, ამ დროს კი ადგილობრივი ინფორმატორი (რა ნაცნობია) საჩუქრის გადაცემის თაობაზე გულშემატკივრებს აცნობებდა.

მთელი სცენარი რამდენიმე ეგზემპლარად გადაბეჭდეს და, ცხადია, ერთი საგარეო საქმეთა სამინისტროში აფრინეს. იქ ერთ-ერთმა ნიჭიერმა ჩინოვნიკმა ცხრაჯერ გადაიკითხა სცენარი და გადაწყვიტა, რომ სტადიონის დიქტორის ტექსტი — „ახლა კი ლევ იაშინი ბროლის ბურთს გადასცემს საპატიო სტუმარს, ჰასან მეორეს" — უადგილოა და გადახაზა. მერე ქვედა კუთხეში მიაწერა: „ვამტკიცებ" და სცენარის მიმტანს უკან გაატანა.

შიკრიკმა დამტკიცებული ტექსტი სტადიონის დირექციას შესწორებული სახით მიართვა, რომელშიც საჩუქრის გადაცემის თაობაზე არაფერი იყო ნახსენები...

ფეხბურთელები მოედნის ცენტრში განლაგდნენ, ჰიმნი დასრულდა, ლევ იაშინმა ბროლის ბურთი აიღო და ტრიბუნაზე მეფისკენ დაიძრა. ცერემონია სამ-ოთხ წუთს გაგრძელდა, მაგრამ რას აკეთებდა ჰასან მეორესთან მეკარე და რაზე საუბრობდნენ, ძალით შეყრილი სტუდენტებისთვის გაუგებარი დარჩა, ამიტომ სტვენა ატეხეს — რა ხდება, ჩვენც გაგვაგებინეთო და გამაყრუებელი ყიჟინა გვარიანად გაგრძელდა.

მომხდარმა ზემდგომნი განარისხა, ვერ მიხვდნენ, ფეხბურთი არ დაწყებულიყო და რატომ უსტვენდა სტუდენტობა. მეორე დღეს ეს ამბავი სათანადო კაბინეტში გაარჩიეს, მატჩი კი, რადა თქმა უნდა, ისე დასრულდა, რომ ჰასან მეორე არ განრისხებულიყო — 1:1.

**მაჟა ხუციშვილი**

# სამი კაკალი კონჭია სიჩევისთვის
## მაშ, სპარტაკს ვირის თავფეხი?



დმიტრი სიჩევი

**კორეა-იაპონიის** რუსული აღმოჩენა დმიტრი სიჩევი კიევის „დინამოში" ვარჯიშობს — ეს ამბავი უკრაინის სახელმწიფო ტელევიზიამ აახლა ქვეყანას.

ამ თინეიჯერის თავგადასავალი ალბათ გახსოვთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ — რუსეთის საფეხბურთო პროფესიულმა ლიგამ სიჩევს ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია სტკიცა იმის საზღაურად, რომ ფეხბურთელმა თვითნებურად მიატოვა თავისი კლუბი, მოსკოვის „სპარტაკი".

აკრძალვას 4 იანვარს გასდის ვადა, მაგრამ 19 წლის ფეხბურთელი კვლავაც დაჟინებით იმეორებს, რომ „სპარტაკში" არაფრის დიდებით არ დაბრუნდება.

კიევის „დინამოს" ხელმძღვანელობა უარს ამბობს რაიმე კომენტარზე, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ სიჩევი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ამ კლუბში ვარჯიშობს.

სამაგიეროდ, მოსკოვის „სპარტაკი" ოფიციალურად აფრთხილებს ყველა კლუბს, ჩვენს გარეშე სიჩევთან კონტრაქტი არ გააფორმოთო, თუმც კონკრეტულად კიევის „დინამოზე" და 19 წლის ფორვარდის ამ უკრაინულ ბობოლაში ყოფნაზე არაფერს ამბობს.

ამ ფაქტს ცხადია, რუსული მედიაც გამოეხმაურა, საიდანაც ასეთი ცნობები მოდის — სიჩევს კიევის „დინამოს" გარდა დონეცკის „შახტიორი" და მოსკოვის „დინამოც" ცხოვლად ეპატიჟებიანო.

ამ სამი კლუბის ზრახვანი კი გასაგებია, მაგრამ როგორ შეელევა „სპარტაკი" დმიტრის, საკითხავი აქ, ეს არის, თორემ საკომპენსაციო თანხის გადახდა ამ სამეულს ნაღდად არ გაუჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

# ფრანგული კოდექსი

## ფეხბურთელს ფული რად უნდა

**ფრანგულ** ფეხბურთზე საუბრისას ფეხბურთში სულ ოდნავ გარკვეული ადამიანიც კი აუცილებლად აღნიშნავს, რომ ფრანგები სანაკრებო დონეზე საუკეთესონი და მისაბაძნი არიან, მაგრამ საკლუბო დონეზე მოიკოჭლებენ.

ფრანგულ კლუბებს, რომელთა ნაკრებმაც ზედიზედ მოიპოვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წოდებები, 1993 წლიდან ევროპული ტიტული არ მოუგია. ცხრა წლის წინ ეს გმირობა მარსელის „ოლიმპიკმა" ჩაიდინა, თუმცა მალე ყველაფერი დაკარგა ერთ-ერთი საშინაო მატჩის დროს ატეხილი აურზაურის გამო — შეგახსენებთ, რომ მარსელელთა მაშინდელი პრეზიდენტი ბერნარ ტაპი თამაშებით ვაჭრობაში ამხილეს და ციხეში უკრეს თავი, ხოლო მისი გუნდი ქვედა დივიზიონში დააქვეითეს.

ისმის კითხვა: რა არის ფრანგული საკლუბო ფეხბურთის მარადიული ჩავარდნის მიზეზი? რამ განაპირობა ის, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე შეჯიბრებას კვლავაც გამოეთიშა სამივე ფრანგი ფავორიტი „ლანსი", „ოსერი" და „ლიონი" და ოდენ უეფას თასის საგზურს დასჯერდნენ?

მიზეზი ერთი კი არა, რამდენიმეა. მშობლიური ფეხბურთის ჭირ-ვარამზე საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ფრანგთა ერთ-ერთმა სახელოვანმა მწვრთნელმა გი რუმ. „ოსერის" დამრიგებლის აზრით, ფრანგული კლუბების მთავარი მეტოქე ევროპულ სარბიელზე არც მადრიდის „რეალი" და არც „მანჩესტერ იუნაიტედია", არამედ ქვეყანაში არსებული საგადასახადო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

ფრანგების საგადასახადო კოდექსი ჩვენს დიდად ნაქებ კოდექსზე მოუქნელი და დამღუპველი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, საშემოსავლო და სოციალური გადასახადების განაკვეთები საქართველოში დამკვიდრებულს ბევრად აღემატება. მაგალითისთვის, თუ ფეხბურთელის ხელფასი ვთქვათ, 100 ფრანკს შეადგენს, მას 50 ფრანკი სოციალური გადასახადის სახით დაერიცხება და 20 ფრანკიც საშემოსავლო გადასახადის სახით დაიქვითება. ჯამში ფეხბურთელი თავის ინგლისელ და გერმანელ კოლეგებთან შედარებით მიზერულ ხელფასს იღებს, ხოლო კლუბს საკმაოდ დიდი თანხის გადახდა უწევს.

ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდა ფრანგ ფეხბურთელებს მეზობელი ქვეყნების მაღალანაზღაურებადი კლუბებისკენ მიუწევთ გული.






ბერნარ ტაპის ფული არ შეარჩინეს, გი რუ კი უფულობას უჩივის

როგორც მოგეხსენებათ, ფრანგთა საფეხბურთო აკადემიები და ბავშვთა საფეხბურთო სკოლები მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული. ეს სკოლები, უხეშად რომ ვთქვათ, ფეხბურთელთა ინკუბატორებს წარმოადგენენ, რომლებიც გამოჩეკენ ახალ ტალანტებს, დააფრთიანებენ და ინგლისსა და დანარჩენ ევროპას ამარაგებენ. სწორედ ამ სკოლების აღზრდილები არიან ტიერი ანრი, სილვენ ვილტორდი, რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა და სხვანი.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, ფეხბურთელთა ნაწილი საფრანგეთს ტოვებს, დარჩენილები კი მცირე ჯამაგირით გადიან ფონს.

ეს ერთი მიზეზი. მეორე კი გი რუს აზრით სატელევიზიო ტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავლების განაწილების საკითხია. ინგლისისგან განსხვავებით, სადაც პრემიერლიგის მატჩების ჩვენებით მიღებულ მთელ შემოსავალს პრემიერლიგისავე გუნდები ითვისებენ, საფრანგეთში იგი ოთხად იყოფა: 5% — სპორტის სხვა სახეობებს, 5% — სამოყვარულო ფეხბურთს, ხოლო დარჩენილ ნაწილს პირველი და მეორე დივიზიონის კლუბები იყოფენ.

რაც შეეხება კიდევ ერთ ეკონომიკურ ასპექტს, სპონსორობის საკითხს, საფრანგეთში მკაცრადაა აკრძალული კლუბების მიერ ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება, შესაბამისად ვერც ერთი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია ვერ გაუწევს სპონსორობას საფეხბურთო კლუბს.

რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ინგლისში, ჰოლანდიასა და გერმანიაში, სადაც კლუბების უმეტესობის სპონსორებად ლუდის მწარმოებელი ფირმები გვევლინებიან.

ფრანგულ კლუბებს სათამაშო მინდვრის პრობლემაც ჰქონიათ. „ოსერი" არის ერთადერთი კლუბი, რომელსაც საკუთარი სტადიონი და სავარჯიშო კომპლექსი აქვს, დანარჩენი სტადიონები (ისევე როგორც იტალიაში) მუნიციპალური საკუთრებაა.

საფრანგეთში ძნელად მოიძებნებიან დევიდ მიურეისა და ჯონ ჰოლის მსგავსი საქმოსნები, რომლებიც დაეხმარებოდნენ რომელიმე კლუბს, „რეინჯერსისა" და „ნიუკასლ იუნაიტედის" მსგავსად, და საკუთარ თავზე აიღებდნენ მისთვის მინდვრის და სრული სავარჯიშო კომპლექსის აგებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ფრანგული საკლუბო ფეხბურთი არც თუ ისე თვალსასეირო და მიმზიდველია, ამიტომაც გულშემატკივარიც ნაკლები ჰყავს. იშვიათი შემთხვევაა, რომ ფრანგმა თავისი საყვარელი კლუბის მატჩებზე დასასწრები სეზონური აბონემენტი იყიდოს და არც ერთი შეხვედრა არ გამოტოვოს. ისე ფრანგი ფანების გიჟმაჟობაზეც ხომ არაფერი გვსმენია, ინგლისელთა დარად.

**ნინო ჭადაგიძე** **ნინო ჭადაგიშვილი**

# ფეხბურთელებზე ჯოხი გადატეხეს

## ბექჰემის ხელფასი? სასაცილოა



დევიდ ბექჰემს საპირველდივიზიონო ხელფასს უხდიან

**როგორც მოგეხსენებათ,** საფეხბურთო სამყაროში ფესვგამდგარმა ფინანსურმა კრიზისმა არც ინგლისელებს აუარა გვერდი. ალბიონელთა მთავარი პრობლემა კი სატელევიზიო კომპანია ITV DIGITAL-ის მიერ თავის საქმიანობაზე ხელის აღებაა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფირმა გაკოტრდა. კომპანიას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული საფეხბურთო ლიგასთან და ჩემპიონატის შეხვედრების ტრანსლირება ოდენ მის პრეროგატივას წარმოადგენდა, კლუბებსაც საკმაოდ დიდი თანხები შესდიოდათ თუმცა, მათდა სავალალოდ, კომპანიას გაუჭირდა და ამ გაზაფხულზე აღესრულა, მაშინ, როცა კლუბების 178,5 მილიონი გირვანქა მართებდა, ხოლო ლიგასთან დადებული შეთანხმების მიხედვით, მომდევნო ორი წლის მანძილზე მათთვის კიდევ 315 მილიონი გირვანქა უნდა გადაეხადა.

საფეხბურთო ლიგამ სარჩელი აღძრა ტელეკომპანიის წინააღმდეგ კუთვნილი თანხის დასაბრუნებლად, მაგრამ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, ანკი გაკოტრებულს ფული საიდან უნდა მოეტანა?

ასე მივიდნენ ინგლისური კლუბები სავალალო მდგომარეობამდე. ამხელა თანხის დაკარგვა ხუმრობა ხომ არ არის, ზოგიერთი მათგანი თავადაც გაკოტრების პირასაა.

სიახლე ისაა, რომ სიდუხჭირისგან თავის დასაღწევად კლუბების ხელმძღვანელებმა მახვილგონივრული იდეა შეიმუშავეს. ჯოხი, რაღა თქმა უნდა, დაბალ, თუმცა მსუქან ლობეზე — ფეხბურთელებზე გადატყდა. განიზრახეს, მათ საგრძნობლად შეუმცირონ ხელფასები. ახალი წესით კლუბის სახელფასო ფონდი შემოსავლის 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ასე რომ, ფეხბურთელებს პირადი ბიუჯეტის შეთხელებასთან შეგუება მოუწევთ. ეს ვერდიქტი გავრცელდება პირველი, მეორე და მესამე დივიზიონის მოთამაშეებზე. მომდევნო სეზონებში კლუბების სახელფასო ფონდი სულაც შემოსავლების 50 პროცენტს გაუტოლდება.

ინგლისური ფეხბურთის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ მიღებული გადაწყვეტილება არა მარტო კლუბთა ბიუჯეტებს წაადგებათ სასიკეთოდ, არამედ სახელფასო სისტემასაც მოაწესრიგებს. ამ მხრივ ინგლისში სრული ქაოსია. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი დივიზიონის მკვიდრ „უოტფორდის" ერთ ფეხბურთელს გასულ სეზონში დევიდ ბექჰემზე მეტი ხელფასი ჰქონდა.

სხვათა შორის, ანალოგიური იდეა შეიმუშავა დიდ კლუბთა გაერთიანება G 14-მა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისმა წევრებმა სახელფასო ფონდი კლუბთა შემოსავლის 70 პროცენტით განსაზღვრეს. რას იზამ, დიდი კლუბები უფრო მდიდრები და შესაბამისად ხელგაშლილები არიან.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# გი სტეფანი დი სტეფანო არ არის, მაგრამ...

**სენეგალის** ეროვნული გუნდის მწვრთნელად, ბრუნო მეტიუს მაგალითის გათვალისწინებით, რაღა თქმა უნდა, ფრანგი ფეხბურთის სპეციალისტი დაინიშნა — გი სტეფანი. კონტრაქტს პარიზში მოაწერეს ხელი.

სენეგალის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალიუ ტალი კმაყოფილია, რომ 45 წლის მწვრთნელი დათანხმდა მის მიერ შეთავაზებულ პირობებს. კონტრაქტი სამწლიანია და თუ 2004 წლის აფრიკის ეროვნებათა თასზე სენეგალელები წარმატებით გამოვლენ, 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლშიც სტეფანი გაწვრთნის.

გი სტეფანი როჟე ლემერის თანაშემწე იყო და ნაკრებს მისი წასვლისთანავე გამოეთხოვა. მთავარ მწვრთნელად კი მას „ლიონსა" და „ბორდოში" უმუშავია, ხოლო ფეხბურთელის კარიერა „გინგამში", „რენსა" და „ლე ავრში" გაუტარებია. სტეფანი სენეგალის ნაკრებში საქმიანობას დეკემბრიდან დაიწყებს.



გი სტეფანი

**ზურაბ რუხაძე** **ზურაბ რუხაშვილი**


იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მეხამე სართულზე საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

ფასი შეთანხმებით
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიაკოსთან"
☎ (231) 7 17 58

ქუთაისში



საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus ზევსი
- ქია 42GEL
- ბურთები 178GEL
- მაუდი 112GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- ქიის თარო 24GEL
- თაროები ბურთებისთვის 47GEL
- შალითები ქიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1,3GEL




დახმარება საბილიარდოს გახსნისას,
კონსულტაცია, გარანტია, ფასდაკლება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

# ბარსელონა VS რეალი



## გაამწარეთ რეალი!

**„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ დიდი მატჩის წინ „ბარსას“ სატელევიზიო არხზე კომენტარი გააკეთა. მან თავის ბიჭებს გამარჯვებისკენ მოუწოდა:**

— შაბათს ნამდვილად გვჭირდება სამი ქულის მოპოვება. როცა მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ვთამაშობთ, ძალიან ბევრი რამ დევს სასწორზე. იმედი მაქვს, რომ ამ გამარჯვებით ჩვენი წარმატებების სერია დაიწყება ესპანეთის ჩემპიონატში, ისეთივე, როგორიც ჩემპიონთა ლიგაში გვაქვს — მისი პირველი ეტაპი ხომ სასახელოდ ჩავატარეთ.

ჩვენთვის მთავარია გულშემატკივრის მხარდაჭერა. ერთადერთს რასაც ვთხოვ გულშემატკივრებს, არის ის, რომ მათ მთელი 90 წუთი მხურვალედ დაუჭირონ გუნდს მხარი. ვიცი, რომ ფეხბურთელებს ეს სჭირდებათ, განსაკუთრებით ასეთ მნიშვნელოვან მატჩში. ბიჭებმა, რომლებიც მოედანზე გავლენ უნდა იგრძნონ, რომ მათ უკან მთელი კატალონია დგას.

**„ბარსა“ — „რეალის“ განსაკუთრებული დაპირისპირებაზე**

— სუპერკლასიკო უმნიშვნელოვანესი მოვლენაა არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელ ევროპაში. ფეხბურთელები ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობით გადიოდნენ ამ მატჩში სათამაშოდ. ახლა ჩვენ სახლში ვთამაშობთ და ჩვენი ხალხი ღირსია, გამარჯვებით გაიხაროს. მეტოქე უდავოდ ძლიერია და გარდა მონდომებისა, ალბათ ცოტა იღბალიც უნდა წაგვეხმაროს. მოგების გარდა სხვა შედეგი ვერ წარმომიდგენია.

**ყოფილი ბარსელონელები „ბარსას“ წინააღმდეგ**

— ფიგუ და რონალდო ორი უდიდესი მოთამაშეა. ისინი შაბათს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებენ. თუმცა მათ გარდა „რეალს“ კიდევ უამრავი ვარსკვლავი ჰყავს: ზიდანი, რაული, რობერტო კარლოსი... თუმცა არც ჩვენ ჩამოვრჩებით: პუიოლი, ხავი, კლუივერტი — აი, ესენი უნდა შეერკინონ „რეალს“ და მათ შაბათი სალამო ჩაუმწარონ.

## მოვუწგო უგროსთვის!

*„სამეფო კლუბის“ 25 წლის თავდამსხმელი რაული რამდენიმე დღის წინ წინ მეორე ვაჟის მამა გახდა. „ოქროს ბიჭუნას“ მეუღლე სანსი, ყოფილი მოდელი, უკვე გაწერეს სამშობიაროდან და ახლა ოჯახში ოთხნი არიან.*

*ახალშობილს უგო დაარქვეს. პირველ ბიჭს კი, რომელიც მალე სამი წლისა შესრულდება, ხორხე ჰქვია. რაულმა ხორხე ვალდანოს პატივსაცემად დაარქვა მას ეს სახელი.*

*„ხორხეს ძალიან უხარია თავისი პატარა ძმიკოს დაბადება“ – განუცხადა რაულმა ჟურნალისტებს.*

*ახლა კი ცოტა რამ რაულზე:*

— პირველად „რეალის“ შემადგენლობაში 1994 წლის 6 სექტემბერს ითამაშა „ოვიედოს“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში და ერთი გოლი გაიტანა.

— პირველი ოფიციალური შეხვედრა „სამეფო კლუბში“ იმავე წელს, 29 ოქტომბერს ჩაატარა „სარაგოსას“ წინააღმდეგ.

— პირველი გოლი მადრიდის „რეალში“ მიქაელ ლაუდრუპის პასით გაიტანა და დანი გარსიას მიუძღვნა, რომელიც ახლა „ბარსელონას“ მოთამაშეა.

— იმავე სეზონში ესპანეთის ნაკრებში მიიწვიეს. 19 წლისა ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ წარსდგა. უმალვე მიიპყრო საფეხბურთო ევროპის ყურადღება და „ფრანს ფუტბოლმა“ იმ ფეხბურთელთა სიაში შეიყვანა, რომელთაგანაც ევროპის წლის საუკეთესო მოთამაშე უნდა დაესახელებინათ.

— 2000 წელს „რეალთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა და წელიწადში 6 მილიონი ევრო დაენიშნა ხელფასად. კონტრაქტის ვადა 2005 წელს უსრულდება.

— „ვალენსიას“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის 2000 წლის ფინალში გატანილი გოლი თავის პატარა ვაჟიშვილს მიუძღვნა, რომელიც მაშინ რამდენიმე თვის იყო.

— მხოლოდ 2000 წელს მადრიდის „რეალის“ და ნაკრების გასვლითი მატჩების ჩასატარებლად ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებსა და ევროპის ქვეყნებში მგზავრობისას ჯამში 80 ათასი კილომეტრი გაიარა.

— პირველად ყოველთვის მარცხენა ფეხზე იცმევს ფეხსაცმელსა თუ ბუცს.

— მისი ჰობია ნადირობა, სროლა, ძაღლების მოვლა. კარგად თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს.



— მადრიდის „რეალის“ მე-700 გოლი ევროთასებზე სწორედ მის ანგარიშზეა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში „ანდერლეხტს“ გაუტანა. ეს ისტორიული გოლი ლამაზიც გამოუვიდა, ბურთი ეფექტურად გადაუგდო მეკარეს თავზე.

**რაულზე ამბობენ:**

**ფრანც ბეკენბაუერი:** ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. „რეალის“ სული და გულია. მადრიდელთათვის იგივეა, რაც მიუნხენელთათვის ლოთარ მათეუსი იყო.

**ფაბიო კაპელო:** გამარჯვებისთვისაა დაბადებული. მასზე მნიშვნელოვანი მოთამაშე ახლა „რეალს“ არ ჰყავს.

**ხავიერ კლემენტე:** ევროპის საუკეთესო ფორვარდად ვთვლი. მცველმა ერთი წამითაც არ უნდა მოადუნოს მის წინააღმდეგ ყურადღება.

**ტიური ანრი:** თამაშისას ერთადერთ რამეზე ფიქრობს და ეს ერთადერთი გოლია


**24 საათი თქვენს განკარგულებაში**

**ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით**

**დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური**

**შპს «დარაკა»**

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

**ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!**

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.

ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


## ოდოია

**პირველი** დეკემბრიდან მომავალი წლის 30 ივნისამდე იტალიელი ფეხბურთელი მასიმო ოდო „ვალენსიასთვის“ გაირკვევა. ეს ნიჭიერი ბიჭი ამ წლის დასაწყისში ჯლოვანი ტრაპატონიმაც შეამჩნია და სანაკრებო დებიუტიც გაუხერხა.

ახლა ისა ვთქვათ, ოდოს შეიდთვიანი იჯარა „ვალენსიაში“, რომლის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ვგებ არც ელირსოს, საგანგებო აღნიშვნის ღირსად რატომ მივიჩნიეთ. რატომ და, ოდო რომის „ლაციოს“ კუთვნილებაა და სერჯო კრანოტი მხოლოდ იმიტომ შეელია, რომ ვალებში იხრჩობა, იჯარით კი ეგებ ოდნავი შვება იგრძნოს. გუშინაც ვწერდით და ალბათ გვითქვამს, რომ პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ჩირიო“, ვისი მეპატრონეც კრანოტია, გაკოტრების პირასაა და „ლაციოს“ შენახვა აღარ შეუძლია.

კლუბს კი თავისი მოგება არ აქვს, განთქმულმა აუდიტორულმა ფირმა „დელუატ ენდ ტუშემ“ 45 მილიონი ევრო ვალი დაუთვალა და ეს მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ალესანდრო ნესტასა და ერნან კრესპოს 48 მილიონად შეელია. ახლა დაითვალეთ, იქამდე ვალი რამდენი ჰქონდა.

ისე, სად ნესტა და სად ოდო, მაგრამ მცირედი შვება გუნდმა ეგებ იგრძნოს. ხოლო თუ „ვალენსიას“ ფეხბურთელის ყიდვა მოუნდება, 7 მილიონს უნდა გამოვიდეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ლაციოს“ „ვალენსიასი“ იქით მართებს გაისკა მენდიეტას 12 მილიონი, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“, ტკბილი სიტყვით რომ ვერაფერს გახდა, იაპ სტამისთვის მისალები 12 მილიონისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებს.



მასიმო ოდო

**გიორგი დარჯანია**

# იტალია

პაატა კედია

# რა კარგია კალჩოს დედაქალაქში

| XI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| იუვენტუსი | - | ბოლონია |
| მილანი | - | ინტერი |
| ხვალ | | |
| ბრეშა | - | უდინეზე |
| კიევო | - | ემპოლი |
| ლაციო | - | მოდენა |
| პარმა | - | რომა |
| პერუჯა | - | კომო |
| პიაჩენცა | - | ტორინო |
| რეჯინა | - | ატალანტა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 10 | 7 | 3 | 0 | 18:5 | 24 |
| ინტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:11 | 23 |
| მილანი | 10 | 7 | 1 | 2 | 25:8 | 22 |
| ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 18:8 | 21 |
| კიევო | 10 | 6 | 0 | 4 | 19:12 | 18 |
| ბოლონია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:8 | 18 |
| მოდენა | 10 | 6 | 0 | 4 | 11:12 | 18 |
| რომა | 10 | 4 | 4 | 2 | 21:16 | 16 |
| ემპოლი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:15 | 16 |
| უდინეზე | 10 | 4 | 2 | 4 | 8:11 | 14 |
| პარმა | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| პერუჯა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:19 | 11 |
| პიაჩენცა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | 8 |
| ბრეშა | 10 | 2 | 2 | 6 | 13:20 | 8 |
| ატალანტა | 10 | 2 | 1 | 7 | 10:20 | 7 |
| ტორინო | 10 | 2 | 0 | 8 | 6:21 | 6 |
| რეჯინა | 10 | 1 | 2 | 7 | 8:19 | 5 |
| კომო | 10 | 0 | 4 | 6 | 6:16 | 4 |

**დღეს** მილანური დერბია ანუ ქულებიც მნიშვნელოვანია და თავმოყვარეობაც!

და, განა თქმა უნდა იმას, რომ 85-ათასიან „სან სიროზე" ყველა ბილეთი გაყიდულია? განა შეიძლება „კალჩოს დედაქალაქის" ორი გუნდი ერთმანეთს ხვდებოდეს და ამ ამბავმა საყოველთაო ყურადღება არ მიიპყროს?

მერე, ეს ორი განსხვავებული სტილის დაპირისპირებაა. მიმდინარე სეზონში „მილანმა" რამდენიმე ჩინებული მატჩი ჩაატარა და ფრიად გამომგონებლური ფეხბურთი შესთავაზა გულშემატკივარს. ფეხბურთელთაგანაც ბევრმა გამოიჩინა თავი, თუმცა განსაკუთრებით გამთამაშებელს, პორტუგალიელ რუი კოშტასა და იტალიელ ნახევარმცველ ანდრეა პირლოს გამოჰყოფენ.

„ინტერმა" კი თავისი არანაკლებ შედეგიანი თამაში სხვა თვისებებზე, ძალასა და თავდადებაზე დააფუძნა. ბუნებრივია გამოირჩეოდნენ ფეხბურთელებიც — ფორვარდები კრისტიან ვიერი და არგენტინელი ერნან კრესპო.

დღეს „ინტერი" მეორე ადგილზეა, ხოლო „მილანი" მესამეზე. „ინტერი" კარგა ხანს სულაც პირველზე იყო, მაგრამ ბოლო ორ ტურში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა: ჯერ შინ და, სრულიად მოულოდნელად, წააგო „უდინეზესთან", ხოლო შემდეგ რომში, „რომასთან" 1:1 ითამაშა.

„მილანმა" ბოლო ტურში „პარმას" აჯობა, მაგრამ გაცილებით უჯობს დღეს აჯობოს „ინტერს" და აი, კიდევ რატომ: სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, მადრიდის „რეალს" უნდა უმასპინძლოს და ბუნებრივია, მილანურ დერბიში გამარჯვებული გაცილებით დიდ გულზე იქნება.

ერთი სიტყვით, გნებავთ ასე დავატრიალოთ ეს ამბავი და გნებავთ ისე, წინასწარ შეხვედრის შედეგის გამოცნობა ძნელია და, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რომაულმა დერბიმ თითქოს მეტი ყურადღება მიიპყრო, ფაქტია, რომ მილანელთა ურთიერთდაპირისპირება უფრო არისტოკრატული და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

„ეს განსაკუთრებულთა შორის განსაკუთრებული დერბია, ვინაიდან ორივე გუნდი, როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში, უმაღლეს შედეგზე ნადირობს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი ქალაქის კლუბები კვლავ საყოველთაო ყურადღების ცენტრში არიან" — ამბობს „შავ-წითელთა" კაპიტანი პაოლო მალდინი.

ვის ვის და, მალდინის ამ საკითხზე მსჯელობისას არაფერი შეეშლება. იგი და ალესანდრო კოსტაკურტა ხომ ბოლო ათი წლის დერბის ვეტერანები არიან.

თუმცა კალჩოს დედაქალაქში სადერბო დებიუტანტებიც არიან, მაგალითად, „ინტერის" თავდამსხმელი ერნან კრესპო და „მილანის" ფორვარდი რივალდო.

მალდინი განაგრძობს: „ჩინებულია იმის შეგრძნება, რომ შენს უკან ამხელა ისტორიაა, მაგრამ ამასთან ერთად გუნდის სიმბოლოს რომ გიწოდებენ, განსაკუთრებულ ძალას გმატებს. დერბის დროს ანგარიშს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს."

მალდინისა და მის კლუბს იმედი აქვთ, რომ ხორვატი მცველი დარიო შიმიჩი და „სკუადრა ადურას" ნახევარმცველი ჯენარო გატუზო მატჩისწინა შემოწმებას წარმატებით გაივლიან და საღამოს თამაშს შეძლებენ, ხოლო „ინტერი" დაცვის შუაგულში ფაბიო კანავაროს დაბრუნებას ნატრობს.

და რას შვრება ამ დროს ლიდერი „იუვენტუსი"? იგი „მილანთან" და „ტორინოსთან" გამარჯვების შემდეგ ბრწყინვალე გუნებაზეა და „ბოლონიას" ელის, თუმცა „ბოლონია" ფრიად სახიფათო მეტოქეა და ტურინში ეს ძალიან კარგად იციან.

სტუმრებს ორი მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავთ, ჯუზეპე სინიორი და ხულიო კრუზი, რომლებიც „დელე ალპიზე" თამაშს ჩინებულ ფორმაში ხვდებიან. „იუვენტუსს" ცხადია, კიდევ არ ჰყავს დავიდ ტრეზეგე, თუმცა მის არყოფნაში ალესანდრო დელ პიერომ და მარკო დი ვაიომ შესანიშნავად გაუგეს ერთმანეთს.



პაოლო მალდინი თავად არის მილანური დერბის ისტორია

# ინგლისი

დავით თაქარიშვილი

| 18.00 | 2231 | რეჯინა-ატალანტა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2232 | ლაციო-მოდენა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2233 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2234 | სელტა-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2235 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2236 | მალაგა-ალავესი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2237 | უელვა-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2238 | ატლეტიკო-ბეტისი | 1,85 | 1,75 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 21.00 | 2604 | ესპანეთი Iლ. (XI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 23.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIV ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 23 ნოემბერი | | | | | | | |
| 18.30 | 2101 | ჰერტა-ვერდერი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.30 | 2102 | ვოლფსბ.-დორტმუნდი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 2103 | არმინია-ლევერკუზენი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 2104 | მ.გლადბახი-ბოხუმი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 2105 | შალკე-ჰანზა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2106 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 2107 | კ.ლაუტერნი-ბაიერნი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 16.15 | 2108 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2109 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2110 | ბოლტონი-ჩელსი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 19.00 | 2111 | ევერტონი-ვ.ბრომვიჩი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2112 | ფულემი-ლივერპული | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 19.00 | 2113 | მიდლსბრო-სიტი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2114 | საუთჰემპტ.-არსენალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 19.00 | 2115 | სანდერლ.-ბირმინგემი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2116 | იუვენტუსი-ბოლონია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,4 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.30 | 2117 | მილანი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.00 | 2118 | სევილია-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 24.00 | 2119 | ბარსელონა-რეალი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 00.30 | 2120 | რაიო-სოსიედადი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | | | 24 ნოემბერი | | | | | | | |
| 20.00 | 2121 | ვალენსია-ვალიად. | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.30 | 2122 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.30 | 2123 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 2124 | ტოტენჰემი-ლიდსი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.05 | 2125 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 2126 | ბრეშა-უდინეზე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 2127 | კიევო-ემპოლი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2128 | პარმა-რომა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 2129 | პერუჯა-კომო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 2130 | პიაჩენცა-ტორინო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2131 | რეჯინა-ატალანტა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.30 | 2132 | ლაციო-მოდენა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 2133 | ბილბაო-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2134 | სელტა-ოსასუნა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2135 | მალიორკა-ვილიარ. | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2136 | მალაგა-ალავესი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2137 | უელვა-რასინგი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2138 | ატლეტიკო-ბეტისი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 23 ნოემბერი | | |
| 18.30 | 2301 | ჰერტა-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2302 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2303 | არმინია-ლევერკუზენი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2304 | მენხენგლადბახი-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2305 | შალკე-ჰანზა | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2306 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2307 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 16.15 | 2308 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2309 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2310 | ბოლტონი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2311 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2312 | ფულემი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2313 | მიდლსბრო-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2314 | საუთჰემპტონი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2315 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2316 | იუვენტუსი-ბოლონია | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2317 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 22.00 | 2318 | სევილია-დეპორტივო | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2319 | ბარსელონა-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 2320 | რაიო-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| | | 24 ნოემბერი | | |
| 20.00 | 2321 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 2322 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2323 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2324 | ტოტენჰემი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 2325 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2326 | ბრეშა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2327 | კიევო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2328 | პარმა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2329 | პერუჯა-კომო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2330 | პიაჩენცა-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2331 | რეჯინა-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2332 | ლაციო-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2333 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2334 | სელტა-ოსასუნა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2335 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2336 | მალაგა-ალავესი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2337 | უელვა-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2338 | ატლეტიკო-ბეტისი | 1,7 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**წაიკითხეთ!**

# ინტერვიუ გონიერ და მგრძნობიარე ადამიანთან



*განთქმული საჩოგბურთო ჟურნალის, „ტენის მეგეზინის" კორესპონდენტი ჯონ მაკინროის მაშინ ესტუმრა, როცა დიადი მეჩოგნის ავტობიოგრაფიული წიგნი — „არ შეგიძლია, იყო სერიოზული" — რამდენიმე კვირის გამოცემული იყო. ამიტომაც, ბუნებრივია, საუბარი უწინარესად ამ წიგნის თაობაზე წარიმართა. „ჩემმა აგენტმა როგორღაც მითხრა, რომ ხალხი უსათუოდ დაინტერესდებოდა იმით, რასაც მე გავიხსენებდი — იგონებს მაკინროი — არ დაგიმალავთ და, ამაში სულაც არ ვიყავი დარწმუნებული. თუმცა საბოლოოდ მაინც ასე გადავწყვიტე: თუკი ჩემს წარსულს კარგად, გულდასმით შევისწავლიდი და ასევე ალალად შევაფასებდი ჩემს ახლანდელ მდგომარეობას, იმასაც უკეთ გამოვარკვევდი, რისი გაკეთება მიჯობს მომავალში".*

*მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავად მაკინროი 1977 წელს იქცა, როცა ჯერ კიდევ 18 წლისამ უმძაფრესი კონკურენციისას უიმბლდონის ნახევარფინალში გასვლა შეძლო. იქიდან მოყოლებული ვიდრე 1994 წლამდე, როცა მან სვიანად ნაქნევი ჩოგნის ჩამოკიდება არჩია, მაკინროიმ 77 საერთეულო — მათ შორის ოთხჯერ აშშ-ის ღია პირველობის, ხოლო სამჯერ უიმბლდონის — და 77 საწყვილო ტიტული მოიხვეჭა, ხუთჯერ კი ამერიკელთა დევისნაკრებს კაცთა ამქრის ამ უპრესტიჟულესი თასის მოპოვებაში შეეწია.*

*მაგრამ მაკინროის არა მარტო უბრწყინვალეს, არამედ ფეთქებად და თავქეიფა მეჩოგნედაც მოიგონებენ. და მართლაც — მას ალბათ ყველაზე არტისტული ტემპერამენტი ჰქონდა. ის იყო საოცრად გონიერი, შუშპარა და მელოდრამატული.*

*უკეთუ მისი მეუღლეყოფილის, ტატუმ ონილის ბრალდებები მართალია, სიფიცხესა და მძვინვარებას მაკინროი პირად ცხოვრებაშიც უხვად ავლენდა. ამ ქალის თქმით, შუა 80-იანებში საკუთარ ძალებში დაეჭვებული მეჩოგნე სტეროიდების გამოყენებასაც არ თაკილობდა, ხოლო მისი შიდასაოჯახო ქცევა საზიზღარი და აუტანელი იყო. „ტატუმის განცხადებებმა გული მატკინა — ამბობს მაკინროი — მე იმედი მქონდა, რომ ამდენი წლის შემდეგ იგი შეძლებდა, წარსული უფრო ადექვატურად შეეფასებინა და არ შეეშალა ჩემთვის ხელი ჩვენი შვილების რიგიანი მომავლის უზრუნველყოფაში".*

*დღეს 43 წლის მაკინროი თავის მეორე მეუღლესთან, პოპმომღერალ პატი სმითსა და ექვს შვილთან ერთად ნიუ იორკში ცხოვრობს. ამ ექვსიდან სამი ტატუმთან პირველი ქორწინებიდან ჰყავს, ერთი პატის შვილია, ხოლო ორიც — პატისა და მისი სიყვარულის ნაყოფი...*

# გადასარევი ცუდი ბიჭი

## ჯონ მაკინროი დედის მოწვდილი ბულიონიდან ანდრე აგასიმდე

**— იქნებ თქვენს ბავშვობაზე გაიხსენოთ რამე, როგორი იყო ცხოვრება მაკინროების ოჯახში?**

— მე ქუინზში ვიზრდებოდი. ჩემნაირ ირლანდიელ ამერიკელში ის გარემო მხოლოდ წარმატების, დაწინაურების, თავის დაღწევის სურვილს იწვევდა. მამაჩემი მოკრძალებული კაცი იყო, წელებზე ფეხს იდგამდა, ოჯახი რომ ერჩინა, დღისით რომ მუშაობდა, საღამოობით სამართლის სკოლაში დადიოდა. დედაჩემი ოჯახში ყოველთვის უკანა პლანზე იყო, მაგრამ თავისი აზრი ყველაფერზე ჰქონდა. იგი ექთანი გახლდათ.

**— დღევანდელი სტანდარტებით ისინი ალბათ არ იყვნენ ტიპიური „ჩოგბურთელის მშობლები"?**

— ყმაწვილი ჩოგბურთელისთვის ყველაზე საშიში ისაა, როცა მშობლები თავისთვის ცხოვრობენ, მისი პრობლემებით არ ინტერესდებიან. ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა — მართალია, თავიანთი საქმეები ჰქონდათ, მაგრამ მათ მხარდაჭერას და დახმარებას ყოველთვის ვგრძნობდი.

**— წიგნში ერთგან გიწერიათ, რომ მამათქვენი უქმეებზე თქვენი მატჩების სანახავად მოდიოდა და მომღიმარე გიცქერდათ ხოლმე.**

— მას ჩემზე მეტად უყვარდა ჩოგბურთი! მაშინაც კი, როცა ძალზე სუსტი მეტოქეები მყავდა, ის მაინც იქ იდგა და მიყურებდა.

**— დედა თუ ესწრებოდა მატჩებს?**

— ის მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა, მისი აზრით, უნდა წამეგო. მოდიოდა, რათა ატირებული ვენუგეშებინე. ვინ გჭირდება, როცა ავად ხარ? ცხადია, დედა, რომელმაც ქათმის ბულიონი უნდა დაგალევინოს... ასევეა მაშინაც, როცა თავს ჩაფლავებულად გრძნობ.

**— ეს გრძნობა როგორც მოთამაშეს გეუფლებოდათ თუ როგორც პიროვნებას?**

— როგორც ორივეს. კორტის და პირადი ცხოვრების გამიჯვნა ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს ბავშვობისას. ამის გაკეთება მაშინაც მიჭირდა, როცა მსოფლიოში პირველი ვიყავი... მარცხი ისეთი საშინელებაა, რომ ერთი სული გაქვს, ვინმე შეგეხიდოს, შეგაგულიანოს, ზურგი გაგიმაგროს.

**— მაგრამ კორტზე მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნო. როგორ ცდილობდით, მატჩის სადავეები უკუვეპყროთ მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო თამაში გაგიფუჭდებოდათ?**

— ჩავარდნა ყველას აქვს. ზოგჯერ ბურთებია ძალიან დიდი, ზოგჯერ ხასიათზე არა ხარ... რეცეპტი რამდენადაც მარტივია, იმდენად ძნელად შესასრულებელი — ყოველგვარ სიტუაციას უნდა შეეგუო და მაქსიმუმი გამოიმუშავო... რა მოგდის ამ დროს? უბრალოდ, გეშინია, რომ მატჩი ხელიდან გისხლტება და მარცხდები. შიშის ხარისხი კი ადამიანიდან ადამიანამდე სხვაობს — ასე, მაგალითად: ალბათ არსებობენ ისეთები, ვისაც ჩემნაირი შიში არ ჰქონიათ ან არა აქვთ... საშველი ერთია — დაძლიო შიში, შინაგანად შეიკრა და ყველაფერი კარგად იქნება.

**— ჩაფლავების შიშით ხომ არ ხსნით თქვენ მყისიერ აფეთქებებს?**

— ნაწილობრივ ამითაც. თუკი ოდესმე რამეზე გული დამწყვეტია, ეს უწინარესად იმაზე, რომ არასოდეს შემეძლო, დაძაბული, ნერვული სიტუაცია ჯიმი კონორსივით ლაღად, ონავრულად განმემუხტა. ის მივიდოდა ტრიბუნასთან და რომელიმე მაყურებელს საკუთარი ხელით ჰამბურგერს შეაჭმევდა. ისე ჩანდა, თითქოს ჯიმი მარტო იმითაც იყო ბედნიერი, რომ პროფესიონალი ჩოგბურთელი ერქვა. მე კი ისე მეგონა, რომ თუკი დაძაბულობას გავანელებდი, სიბასრეს და მობილიზებულობას დავკარგავდი. ასეთი სიტუაცია ათასჯერ მომხდარა და პირველი, რაც ყოველთვის აზრად მომსვლია, რამე მხიარულის თქმა იყო. მაგრამ მე ვერასოდეს ვახერხებდი ამის გაკეთებას, რადგანაც ჩემი მეორე მე მუდამ ჩამჩიჩინებდა, რომ ამით შინაგან სიმყარეს მოვიშლიდი. შედეგად — ყოველთვის ვამბობდი იმის საწინააღმდეგოს, რასაც ვფიქრობდი, მერე კი ყველაფერი ზვავივით მიდიოდა და მე უკვე ველარაფერს ვაკონტროლებდი. რამდენჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის: „ბიჭო, ახლა რამე მხიარული უნდა გეთქვა, შენ კი ისეთი რამე თქვი, რასაც უკანასკნელი კრეტინიც არ იტყოდა".

**— და ახლა? როცა ვეტერანთა ტურნირებზე გამოდიხართ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ძირითადად პუბლიკის გასართობად ზრუნავთ. რა, მომწიფდით?**

— რამდენადაც ვგრძნობდი, რომ ჩვეულებრივ ადამიანებზე უფრო ალგზნებადი და შლეგი ვიყავი, ვეცადე, წლების განმავლობაში ტემპერამენტი გამეწონასწორებინა. ენერგია ყოველთვის ძალუმად მქონდა. მაგრამ საქმეც ისაა, მისი გონივრულად, რაციონალურად გამოყენება შეძლო. ისე არ გეგონოთ, თითქოს ახლა სიმშვიდის განსახიერება ვიყო. აქა-იქ მაინც ხდება ხოლმე, როცა ვხელდები და ჭკუას ვკარგავ, მაგრამ მენდეთ — ჩემი ყოველი დღე საკუთარი თავისთვის იმის შთაგონებით იწყება, რომ დღეს ყველაფერი ოდნავ იმაზე უკეთ უნდა იყოს, ვიდრე გუშინ. ვცდილობ, შეცდომები არ გავიმეორო და ჩემს შვილებსაც კარგი მაგალითი მივცე... რაც შეეხება პუბლიკისთვის ზრუნვას, მოგეხსენებათ, ბევრ ტურნირზე კომენტატორადაც მიწევს მუშაობა. როცა კორტის აქეთა მხარეს ხარ, გაცილებით ადვილია, ჩოგბურთს როგორც გართობას შეხედო. ამიტომაც, როცა ვეტერანთა ტურნირებში ვმონაწილეობ, ისე ვირჯები, რომ მეც გავერთო და სხვებიც ვახალისო.

**— 1984 წლის შემდეგ ერთი სლემტიტულიც აღარ მოგიგიათ. სრულყოფილებაზე თქვენნაირად მორუდუნე კაცისთვის ეს ალბათ ძალიან მძიმე ასატანი იყო...**

— გვიან 80-იანებში უფრო მძლავრი და ჯანიანი ბიჭები წამოვიდნენ. ისინი ისე საშინლად უგლაჯუნებდნენ, რომ ცოტა არ იყოს, დავფრთხი კიდეც- აღრე ვერც წარმოვიდგენდი, თუკი ვინმე ბურთს მოწოდებიდან კონორსზე უკეთ დააბრუნებდა, მაგრამ გამოჩნდა აგასი და ესეც შეიცვალა. ყოველივე ამან დამაეჭვა, რომ მე არ ვიყავი ისე კარგი, როგორიც საჭირო იყო...

**— თქვენს საკორტო მიღწევათა შესახებ ყველასთვის ცნობილია. საინტერესოა, რომელია თქვენი ცხოვრების ყველაზე საამაყო კორტსგარე მომენტი?**

— ვფიქრობ, ეს ორი ფაქტის ერთგვარი კომბინაციაა — იმისა, რომ 1980 წელს მილიონდოლარიანი შემოთავაზების მიუხედავად უარი განვაცხადე ბიორნ ბორგთან სამხრეთ აფრიკაში თამაშზე და იმისა, რომ 1996 წელს იქ ჩასულმა ნელსონ მანდელა გავიცანი. მანდელამ მითხრა: „ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა". უკან გავიხედე, ვიფიქრე, ალბათ სხვას ეუბნება-მეთქი... ეს მართლაც ზღაპრული მომენტი იყო. ის ალბათ ყველაზე ახლოს დგას იმასთან, რასაც შეიძლება ცოცხალი ღმერთი უწოდო. მე ვიგრძენი, რომ მისგან ჩემზე უდიდესი ენერგია გადმოვიდა.

**— ვინ არის თქვენი საჩოგბურთო კერპი?**

— ჩემი საჩოგბურთო ღმერთი როდ ლეივერია. ის ისეთი თავმდაბალი, კეთილი კაცია, არავისზე ცუდს რომ არ იტყვის, მაშინაც კი, თუკი თავს მოიკლავ, რომ რამე ათქმევინო. შეიძლება ითქვას, რომ პირველად ყველაფერი სწორედ მან გააკეთა — ბადესთან პირველად ის მიიჭრა, უკანახაზიდან ხათქუნი, მოჭრილების დარტყმა, ეს ყველაფერი მისი მოგონილია...

**— ოჯახში მომავალი მესლემტიტულეები ხომ არ გეზრდებათ?**

— არა მგონია, თუმცა ჩემი ბიჭები ურიგოდ არ ჩოგნაობენ. ისე კი, გახდებიან ისინი პროფესიონალი მეჩოგნეები თუ ცხოვრებაში რაიმე სხვა გზას აირჩევენ, ძალიან მინდა, რომ შინაგანი ცეცხლი და ჯიგარი ყოველთვის ჰქონდეთ. უამისოდ სერიოზული წარმატების მიღწევაზე ფიქრი შეუძლებელია, ჩოგბურთშიც და სხვაგანაც.

**— რას ფიქრობთ თანამედროვე ჩოგბურთზე? არის თუ არა ის უფრო ელიტარული, ვიდრე ეს თქვენ დროს იყო?**

— მინდა, რომ [illegible], მაგრამ სამწუხაროდ [illegible] ხდება... ნიუ იორკის იმ უბნებში, სადაც მე გავიზარდე, ადრე უამრავი კორტი იყო, ახლა კი მათ ადგილებზე გაუთავებელი გარაჟები და საოფისე შენობებია. თუკი არც ისე მდიდარი ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს კორტები არ ექნებათ, ცხადია, ჩოგბურთი ელიტარულ თამაშად დარჩება.

**— თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს შავდა უილიამსების საოცარი მიღწევები ჩოგბურთის პოპულარიზებას უმცირესობათა შორის?**

— იმედი მაქვს, რომ უწყობს. ვინუსსა და სერენას მშვენიერი შესაძლებლობა აქვთ, ტაიგერ ვუდსის (განთქმული აფროამერიკელი მგოლფის) მისია გაიმეორენ.

**— არსებობს თუ არა რასიზმი ჩოგბურთში და როგორ მჟღავნდება ის იქ?**

— ასეთი რამ ჩოგბურთში არსებობს. მჟღავნდება კი იმით, რომ უმცირესობათა წარმომადგენლებს თამაშის საშუალება არ ეძლევათ. უფრო ღარიბი რაიონებიდან გამოსული ბავშვებისთვის მეტი შანსი რომ მიგვეცა, ნახავდით, რომ მალე ძალიან ბევრი შავკანიანი ტალანტი გამოჩნდებოდა. მაგრამ ჩოგბურთი ძალზედ ძვირი თამაშია. ამიტომაც მოთამაშეთა უდიდესი უმრავლესობა ჯერაც თეთრკანიანია.

**— ერთ-ერთმა კომენტატორმა კაც მეჩოგნეებს „კიბორგები" უწოდა. ეთანხმებით ამგვარ შეფასებას?**

— ცხადია, არა. მე კარგი ურთიერთობა მაქვს ბევრ მათგანთან და ისინი სულაც არ არიან ისეთი რობოტები, როგორნიც ბევრს ჰგონია. ჰიუიტი შინაგანად მომშვილდული ბიჭია, საფინს გამორჩეული პიროვნული თვისებები აქვს, მე ყოველთვის მიყვარდა კუერტენი, მას რაღაც საოცარი, მშვენიერი აურა აქვს. მომწონს როდიკის ჯიგარი და სიფიცხე...

**— და ანდრე აგასი?**

— მე ვეთაყვანები მას. ის ძალიან გონიერი და ჭკვიანი ბიჭია. პირველად რომ გამოჩნდა, ბევრს ალიზიანებდა, რაღა დაგიმალოთ და, ხანდახან მეც. მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ანდრე უამრავი ადამიანის კერპი გახდა იმ შთაგონებული, ბრძნული თამაშის გამო, რასაც ის 32 წლისაც კი ასე დახვეწილად წარმოაჩენს. განსაცვიფრებელია მისი გამძლეობა და ისიც, რომ კარიერის განმავლობაში მან ოთხივე სლემტურნირის მოგება მოახერხა.

**— თქვენი ადრეკარიერისას ისეთი ქარიზმატული მეჩოგნეები თამაშობდნენ, როგორებიც ბორგი, კონორსი, ნასტასე თუ გერულაიტისი იყვნენ. იქნებიან კი ოდესმე კაცთა ჩოგბურთში ასეთი დაველათიანი ფიგურები?**

— ვფიქრობ, რომ ATP-ელმა მამებმაც და თავად მოთამაშეებმაც უფრო მეტი უნდა გააკეთონ, რათა ჩოგბურთს მეტი მიზიდულობის ძალა ჰქონდეს. მე არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ჩვენ მხოლოდ დიდი მეჩოგნეები ვართ. ჩვენ დიდი შოუმენებიც უნდა ვიყოთ, რათა შევძლოთ კორტებზე თუ ტელეეკრანებთან ადამიანთა კიდევ უფრო მეტი რაოდენობის მოზიდვა. ჩოგბურთს ამოუწურავი პოტენცია აქვს. ამ პოტენციას გამოვლენა სჭირდება. გენიოსები მაშინ გამოჩნდებიან.



ჯონ მაკინროი ანდრე აგასისთვის ქების სიტყვებს არ იშურებს

# საუბარი დებიუტში, მიტელშპილში, ენდშპილში მოთელვითა და გადადებული დიალოგით

## ინტერვიუ გარი კასპაროვთან



ბედნიერი ოჯახი: იულია, გარი და ვლადიმირი



გარი კასპაროვი, ევგენი დვორკოვიჩი, ალექსანდრ როშალი და რუსეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი იური იაკოვიჩი

ომარ ზინაიშვილის ფოტო

*(დასასრული. დასაწყისი იხილეთ „სარბიელი" №222 და №223)*

ენდშპილი

— „ვარსკვლავური ავადმყოფობა" თქვენ თუ შეგეხოთ?

— მეც ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ. ძალზე ადრე მოვიდა ჩემთან სახელი, ტიტული, დიდება. ვარსკვლავური ავადმყოფობა სახადივითაა. იოლ თუ რთულ ფორმაში ყველას შეეყრება. გვერდზე არც მე ჩამიარა. ამბობენ, რომ იოლ ფორმებში გადავიტანე. როგორც იტყვიან, ფეხზე მოვიხადე. თქვენ სხვა ინფორმაცია ხომ არ გაქვთ? ან ვინმეს საქართველოში?

— ის პერიოდი ახლა ბევრს აღარც ახსოვს. ისე, თქვენი ტიტულების მქონე პიროვნებისთვის ჩვეულებრივად დამახასიათებელია ამბიცია, თავდაჯერებულობა, სხვათა მოსაზრებათა მიმართ კრიტიკული და ირონიული დამოკიდებულება. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ასეთი ბედი გარგუნათ ღმერთმა, მაგრამ ახლა მანამ ცაიტნოტში გადავსულვართ, თუ შეიძლება ჩამოთვალეთ თითო ყველაზე ახლო მეგობარი სპორტსმენთა წრიდან, პოლიტიკოსთაგან, მეცნიერთაგან, ხელოვნებისა და კულტურის სფეროდან.

ამ თხოვნაზე შეიშმუშნა და ფიქრებში წავიდა. ერთი შეხედვით, ამ უბრალო სვლაზე ყველაზე მეტი დრო დახჭირდა, მერე კი:

— სპორტსმენებიდან ყველაზე ახლოს სლავა ფეტისოვთან ვიყავი და ვარ. სხვებს ვერ ჩამოვთვლი. მეგობრობა ძალზე პირობითია. ვერ ვიხსენებ, მიჭირს ჩამოთვლა. ბოდიშიც შემიძლია მოგიხადოთ. მე უფრო მარტოსული ვარ, არავითარ „ტუსოვკებში" არ ვმონაწილეობ. ჩემნაირი ცხოვრების წესის მქონე კაცისთვის, ალბათ ძნელია, მეგობრებისთვის დროის გამონახვა. არა, ეს ჩემთვის მიუწვდომელია... მაგრამ მოიცა, კინაღამ გამომრჩა. ჩემთვის შენაძენია იური დოხოიანი. ის მეგობარიცაა, მწვრთნელის ფუნქციასაც ასრულებს, ფსიქოლოგისაც და ცოტათი მრჩევლობასაც ითავსებს. ერთი სიტყვით, შეუცვლელია.

— **რა ადგილი უკავია ფულს თქვენს ცხოვრებაში?**

— ფული ჩემი და ჩემი ოჯახის სრული დამოუკიდებლობის გარანტია. თავის დროზე მან ხელი შეუწყო ჩემი შესაძლებლობების რეალიზაციას, კომპლექსი მომიხსნა. ერთი სიტყვით, ფული ყველასთვის საჭირო რამაა.

— **ქალები თქვენს ცხოვრებაში?**

— მე ყოველმხრივ ჯანმრთელი კაცი ვარ. ამ შეკითხვაზე პასუხს ნუ დამაძალებთ — ოჯახი მაქვს. ისე, საკმაოდ საინტერესო ცხოვრება მქონდა.

— **მისი უდიდებულესობა იღბალი თქვენს ცხოვრებაში. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ტალანტი, ეს იღბალია?**

— ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში წარმატება იღბალია. მაგრამ ჩემი იღბალი, ანუ ჩემი წარმატებები, ჩემი გონებითა და ხელითაა გამოჭედილი. განა შეიძლება, არ იყოს წარმატება იქ, სადაც მე ვარ?

— **საყვარელი ტრანსპორტის სახე?**

— თვითმფრინავი. მხოლოდ იმიტომ, რომ სწრაფია.

— **ალკოჰოლი და სიგარეტი...**

— შეიძლება ითქვას, არ ვსვამ. სიგარეტს არასდროს გავკარებივარ.

— **მაშ, რა ბედი ელის ქართულ ღვინოებს, საჩუქრად რომ მოგიტანეთ?**

— ეშველება. ჩვენი გუნდის გამარჯვებას ქართული ღვინით აღვნიშნავთ. ჩვენები, ალბათ, სხვა სასმელებსაც გაახურხებენ. მათ ეს არ ეშლებათ.

— **რაკი არც ეწევით და არც სვამთ, არ მითხრათ, არც ჭიკვებით. ყველაზე უფრო რა გიყვართ?**

— რაც გემრიელია და მაღალხარისხოვანი, ყველაფერს გეახლებით. თუმცა, რიგითობა შევაბრუნეთ — ჩემთვის მთავარი პროდუქტის ხარისხია.

— **ზოგჯერ დიეტას თუ იცავთ?**

— ეს არ მჭირდება. კომპლექცია მაქვს ასეთი.

— **თავის დროზე დიუმა უმცროსმა თქვა: „მამაკაცი ღმერთის იარაღია, ქალი კი — მამაკაცის იარაღი". ეთანხმებით ფრანგს?**

— არა. პირიქითაა და ეს ჩემთვის საკამათო არაა.

— **იმიტომ ხომ არა, რომ ძირითადად ქალთა გარემოცვაში და მათი მეურვეობით გაიზარდეთ?**

— არ ვიცი, რას მივაწერო ჩემი მოსაზრება. ისე, ქალების გარემოცვაში გაზრდა სულაც არ ნიშნავს, რომ ქალაჩუნა გაიზარდო. მე ყოველთვის მქონდა საკუთარი „მე" და საკუთრივ ჩემეული პოზიცია.

— **რადგან ქალებზე ჩამოვარდა სიტყვა, მითხარით, ვინ იქნებოდა გარი კასპაროვი, კლარა შაგენოვნას მსგავსი დედა რომ არ ჰყოლოდა? რა როლი ითამაშა მან თქვენს კარიერაში და პირად ცხოვრებაში? მე მიმაჩნია, რომ ქალბატონი კლარა ყველა დროისა და ყველა რანგის მოჭადრაკეთა დედებს შორის „რკინის ლედია".**

შეკითხვა ესიამოვნა.

— რომ არა დედაჩემი, არც ჩემი მიღწევები იქნებოდა. ბოლო-ბოლო, ვილაცას ხომ უნდა ეპატრონა ჩემთვის. ყველა ჩემს საქმეში დედაჩემის როლის განსაზღვრა ძალიან ძნელია, ფაქტობრივად — შეუძლებელი.

აღარ ჩავეძიე მიარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, გარის პირველი ოჯახის დანგრევაში დედამისის როლი გადამწყვეტი იყო — რძალ-დედამთილმა საერთო ენა ვერ გამონახეს და მიუხედავად გარის უსაზღვრო და ძალზე რომანტიკული სიყვარულის მიუხედავად, ისინი დიდი სკანდალით, სასამართლოებითა და ქონების გაყოფით დაშორდნენ.

— **ორიოდ სიტყვა თქვენს ოჯახზე შვილებზე. ხვდებიან თუ არა ერთმანეთს პოლინა და ვადიმი? მათი სპორტისადმი მიდრეკილებაზეც გვითხარით რამე.**

(პოლინა გარის ქალიშვილია პირველი ქორწინებიდან, ვადიმი კი — მეორე ქორწინების ნაყოფია).

— მე ბედნიერი ვარ. მყავს მეუღლე — იულია, რომელიც მიყვარს და რომელსაც ვუყვარვარ. ვადიმი ფიზიკურად ძლიერი ბიჭია, უკვე ტაეკვონდოზე დაიწყო სიარული. და-ძმას ერთმანეთი არ უნახავთ — პოლინა ხომ ამერიკაში ცხოვრობს. წარმოიდგინეთ, ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის სასამართლოს ყველაზე არადემოკრატიული გადაწყვეტილებით, პოლინას რუსეთში ჩამოსვლა აუკრძალეს — მისი სიცოცხლისთვის ეს საშიში ყოფილა. სამწუხაროდ, პოლინა ამერიკულ წეს-ჩვეულებებზე იზრდება, რუსულადაც აქცენტით ლაპარაკობს. უფრო სახლის გოგონაა — წიგნები და კომპიუტერი, ვადიმი უკვე 6 წლისაა. ძალზე მოძრავი და ენერგიულია, ინგლისურს სწავლობს და ამ ასაკის ბავშვისთვის გასაოცრად გამართული, ლიტერატურული რუსულით საუბრობს.

დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამეუფლა, მაგრამ ენის კბილი დროულად დავაჭირე— შეკითხვის გამეორება მინდოდა. შვილებზე სასაუბროდ მე ხომ განგებ გამოვიწვიე — მან კი მხოლოდ ორზე ილაპარაკა, მაგრამ არავის ხელეწიფება, რომ გარისა და ცნობილი რუსი მსახიობის — მარინა ნეელოვას დიდი და ხანგრძლივი რომანის პერიოდში ამქვეყნად მოვლენილი გოგონა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მსოფლიოში ნომერ პირველ მოჭადრაკეს, მათი სიყვარულის შედეგი არ არის. მარინა ნეელოვამ ერთ-ერთ ინტერვიუში კიდევაც თქვა: მე არ მქონდა პრეტენზია გარის მეუღლე გავმხდარიყავი. უბრალოდ, მინდოდა ძალზე ნიჭიერი მამაკაცისგან შვილი მყოლოდაო. ისიც ცნობილია, თუ რა როლი ითამაშა შეყვარებული წყვილის დაშორებაში ყოვლისშემძლე და გარიზე განუსაზღვრელი გავლენის მქონე კლარა შაგენოვნამ.

— **ფეხბურთისადმი თქვენი დიდი ლტოლვის ამბავი რომ ვიცით, ამიტომაც გეკითხებით: მსოფლიოს ჩემპიონატზე რომელი გუნდის ჩემპიონობა გსურდათ? რას იტყვით რუსეთის ნაკრებზე?**

— არა მარტო ფეხბურთი, ჰოკეიც ძალზე მიტაცებს. იაპონია-კორეაში ესპანელებს ვგულშემატკივრობდი, მაგრამ რაც მათ იქ დამართეს, ეს იყო უსინდისობის ურცხვილოდ დემონსტრირება თუ პრეზენტაცია! სწორედ ასე დავწერე ერთ-ერთ ესპანურ გაზეთში.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, როგორ შეიძლება კაცმა მასზე სერიოზულად ილაპარაკოს. ისევე, როგორც, ალბათ, ქართულ ფეხბურთზე.

— **თქვენ ჟურნალისტის საქმიანობასაც ეწევით. დაუსვით კითხვა გარი კასპაროვს.**

— იშვიათად ვწერ, კვარტალში ერთხელ ამერიკული ჟურნალისთვის და, როგორც წესი, არა საჭადრაკო თემაზე. უფრო პოლიტიკაზე. თუ იმტაზე ვარ, ესპანური „ელ პაისისთვის" ვწერ. შეკითხვა ჩემს თავს? არ ვიცი, არ მიფიქრია. ერთი სიტყვით, მზად არ ვარ.

მოდი, აქ შევჩერდეთ. საუბრის საშუალება კიდევ მოგვეცემა. ახლა კი წავიდეთ, ჩვენს გუნდებს დავხედოთ, რაიმე ხომ არ უჭირთ.

— **წასვლამდე იქნებ სურათი გადავიღოთ?**

— არა, სახეზე რაღაცეებმა გამომაყარა. ერთ-ორ დღეში გამივლის და შემდეგ.

ამას რომ მეუბნებოდა, თან ტანსაცმელს იცვლიდა. მეც ვჩქარობდი, თანაც უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი — რესპოდენტის თავის წესრიგში მოყვანის რიტუალის ცქერა მთლად სასიამოვნო როლი იყო.

კარი გამოვიხურე. უკვე ლიფტთან ვიდექი, რომ გამომძახა:

— ემზარ, დიქტოფონი დაგრჩა, ხომ გჭირდება, წაიღე და მომაწოდა.

დერეფანში კი იური დოხოიანი და ვადიმ დვორკოვიჩი მორჩილად ელოდებოდნენ.

### და გადადებული პარტია

–შემდეგი ჩვენი შეხვედრა ოლიმპიადაზე ბოლოსწინა ტურის დამთავრების შემდეგ, შედარებით გვიან საღამოს შედგა. აშკარად ჩანდა, კარგ ხასიათზე რომ იყო. სასტუმროს ჰოლში მიდი-მოდიოდა, რამდენიმე ჯგუფთან მივიდა, მოიკითხა, მილოცვები სიამოვნებდა, შემდეგ კი ერთ-ერთ კუთხეში საუბარი გავაგრძელეთ.

— **გილოცავთ საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობას და რიგით მერვე ოქროს მედალს.**

(გარი კასპაროვმა ორი ოლიმპიადა ობიექტური მიზეზების გამო გამოტოვა, უკანასკნელი ორი ელისტასა და სტამბოლში კი ფიდესთან განდგომის ხანას ემთხვევა — ე.ზ.)

— გმადლობთ. დღეს მივედით და ისრაელთან ყაიმი ოთხივემ სწრაფად გავაკეთეთ.

— **გააკეთეთ თუ მოილაპარაკეთ?**

— გაკეთება მოლაპარაკებაა. ოლიმპიადებზე ასეთი რამეები მოსულა. ჩვენ ორი ქულაც გვყოფნიდა. ისინი რეალურად ვერ მოგვიგებდნენ და ყაიმზე წამოვიდნენ. ქართველებმა რა ჰქნეს?

— ჩვენმა ბიჭებმა კანადელებს მხოლოდ ნახევარი ქულა გაატანეს და მესამეზე სუფთად დაჯდნენ. ახლა სომხეთთან მატჩი გველის. ჩვენებს ყაიმიც ჰყოფნით, მეზობლებს კი მხოლოდ მოგება, თანაც, ალბათ დიდი ანგარიშით. მათთვის ასეთი ამოცანის დაძლევა ძნელი უნდა იყოს. მეჩვენება, რომ ღლევანდელ ჩვენს ნაკრებს სომხებმა სამი ქულით აჯობონ.

— ასე კატეგორიული ნუ ხართ. ეს ოლიმპიადაა, თანაც ბოლო ტურში ყველაფერია მოსალოდნელი. სომხეთის გუნდი ხელწამოსაკრავი ნამდვილად არაა. სასურველი შედეგის მისაღწევად თქვენებს მაქსიმალური მობილიზაცია სჭირდებათ. თანაც, თუ არ ვცდები, კვალში ჩინეთისა და ისრაელის ნაკრებებიც გიდგათ.

— **კი, მაგრამ, ჩინელებმა უნდა მოუგონ უნგრელებს. მადიარებს ორი ქულითაც თავი ქუდში აქვთ, მაგრამ რიგი მომენტების გათვალისწინებით ბრძოლა ბოლომდე იქნება. ისრაელმა სამი ქულის სხვაობით უნდა მოუგოს ჰოლანდიის საკმაოდ ძლიერ გუნდს. განა ეს იოლია?**

— მე უკვე ვთქვი — ოლიმპიადის დასკვნით ეტაპზე ყველაფერია მოსალოდნელი. განა ელოდით, რომ თქვენი ქალები ზედიზედ სამ მატჩს წააგებდნენ? (ვინ იფიქრებდა, რომ მეოთხე მატჩის წაგებაც წინ გვქონდა! — ე.ზ.). ჩემი აზრით, სიძლიერით ისრაელის ნაკრები ოლიმპიადაზე მეორე გუნდია. თანაც ხომ იცით, სადაურები არიან და რა სკოლა აქვთ გავლილი.

როგორ არ ვიცოდი! აკი რუსეთ—ისრაელის მატჩი საბჭოთა კავშირის პირველ—მეორე ნაკრებების შეხვედრად მონათლეს კიდეც მეტიც — იმ დღეს დაფებთან მსხდარი რვავე მოჭადრაკე კადრების აღიარების ცნობილი ფურცლის ასევე ცნობილი მეხუთე გრაფით ერთსა და იმავე კოლორიტულ ეროვნებას მიეკუთვნებოდა.

— **და მაინც, არა გგონია, რომ სომხები სამით ერთზე მომგები გუნდია!**

— ძნელია, მაგრამ შეიძლება ასეც მოხდეს. ისინი ძალზე კარგად მოემზადებიან. ძალზე კარგად! — დამარცვლით და მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა.

— **შეიძლება კარგი დამხმარეებიც გამოუჩნდნენ.**

— მივუხვდი და მივანიშნე რეაქცია მაინტერესებდა.

— ალბათ (სახვათაშორისოდ და უმისამართოდ წარმოთქვა).

მე უნგრელთა გუნდს ვგულისხმობდი. ზოგიერთი მათგანი სომხეთს რომ გულშემატკივრობდა, დასამალი არაფერია — პეტერ ლეკო ხომ სომხების სიძეა, მას ცოლად სომხეთის გუნდის კაპიტნის, წარსულში საკმაოდ კარგი გროსმაისტერის არშაკ პეტროსიანის ქალიშვილი ჰყავს.

სამწუხაროდ, საქართველოსა და სომხეთის გუნდების შეხვედრაზე გარის პროგნოზი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ვერაფერს უმტყუნა ისრაელი—ჰოლანდიის მატჩზე).

— **საერთოდ, რა აზრის ხართ საჭადრაკო ოლიმპიადებზე. ამ ფორმულით მისი მომავალში ჩატარება უპრიანად მიგაჩნიათ?**

— საერთოდ, ოლიმპიადა უნდა იყოს. მაგრამ რეგლამენტში ცვლილებების [illegible] სატანა. მიმაჩნია, რომ [illegible] ტური ბევრია. მონაწილეებს შორისაც რაღაც შეზღუდვები უნდა იყოს, ბევრ მათგანს ხომ რეიტინგიც კი არ აქვს. კურიოზია, აბა, რა ჯანდაბაა, როცა პირველ დაფაზე გრანდებთან შეხვედრაში 9 პარტიიდან 7,5 ქულა დავაგროვე, პირველ ადგილს კი ზიმბაბველი დაეუფლა, რომელიც მე რეიტინგით 800 ქულით ჩამომრჩება.

14 ტური ძალზე მომქანცველია. მეც ვერ გავუძელი — ხუთ პარტიაში ვისვენებდი. მჯერა, რომ ბოლო ტურებში თქვენი ქალების წარუმატებლობა სხვა ფაქტორებთან ერთად დაღლილობითაცაა განპირობებული.

— **ამასთან ერთად, ბევრს მიაჩნია, რომ ერთ-ერთი მიზეზი ჭადრაკში გატარებული წლების სიმრავლეცაა.**

— არც უმაგისობაა, — მითხრა და წინა შეკითხვაზე პასუხი გააგრძელა — პრინციპულად ვთვლი, რომ ამ მასშტაბის შეჯიბრებები არ უნდა ტარდებოდეს სლოვენიაში, სომხეთში, თუნდაც საქართველოში ან ესტონეთში, 2004 წლისთვის სამასპინძლოდ რომ ემზადება. ამ მასშტაბის ასპარეზობებისთვის ისინი ძალზე პატარა ქვეყნებია. ამით იზღუდება ოლიმპიადის მეშვეობით დიდი ფულის მოზიდვის შესაძლებლობა. აბა, წარმოიდგინეთ, ორი წლის შემდეგ, აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების წელს, ჩვენ რომ ამერიკაში შევიკრიბოთ. კარგი პიარი იქნება, რაც ამერიკელებს შესანიშნავად გამოსდით. და წამოვა ინვესტიციები, გაჩნდებიან სპონსორები, გაჩნდება ფული, ინტერესი...

აი, კირსან ნიკოლაევიჩიც გამოჩნდა. ფიდეს პრეზიდენტად ხელახალი არჩევა უშუალოდ არ მიმილოცია, მივალ. ჩვენ კიდევ ორი დღე გვაქვს. თუ რაიმე კითხვა დაგებადებათ, მზად ვარ. — დაიბოლოვა და კირსან ილუმჟინოვისკენ გაემართა.

❖ ❖ ❖

– ის–ის იყო, ბოლო ტურის პარტიები მთავრდებოდა, პრეს-ცენტრში გარი კასპაროვი რომ გამოჩნდა. უმალ რუს ჟურნალისტებთან ჩაცუცქდა და კომპიუტერს ხარბად დაუწყო თვალიერება. თვალებში საოცარი სიამოვნება და დაუოკებელი წყურვილი ამოვიკითხე — ის უკვე დაფასთან იჯდა და ხან ერთი მხრიდან, ხანაც მეორიდან აკეთებდა სვლებს. აზარტულ და ხმამაღალ კომენტარს უკეთებდა ყველა პარტიას. ქალები რას შვრებიანო — მოიკითხა. სამივე ძალზე ცუდად იდგნენ, ამჟამად კი უკეთესი პოზიციები აქვთ და მოგებას ცდილობთ, შეიძლება ქართველებსაც გავასწროთო, უპასუხეს.

ამაზე გაიბადრა, შემომხედა და ჩემს გასაგონად გაიხუმრა, ჰო, ქართველები ყველაფერს აკეთებენ, ჩვენ რომ მეორე ადგილი დავიკავოთო.

ამასობაში ტურიც დამთავრდა. რუს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი დესანტი სიხარულს ვერ მალავდა. გარიც ენაწყლიანობდა.

— ქართველებმა ფიზიკურად ვერ გაუძლეს, ჩვენებმა კი ფინიშზე ამოქაჩეს. კარგი შედეგია. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენმა ქალებმა საბოლოოდ დათმეს პოზიციები.

ამ დროს პრესკონფერენციაზე მიიწვიეს. მე თავად მიმიპატიჟა. საუბარი ძირითადად ფიდესთან ურთიერთობას, მსოფლიოს ჩემპიონატის სისტემას და დროის რეგლამენტს შეეხებოდა. ბოლოს რეზიუმესავით გამოუვიდა:

— დღეს მსოფლიოში აშკარად გამოკვეთილი ორი გუნდია, ლიდერობაზე რომ აქვთ ამბიცია. კაცებში ჩვენ, რუსებს პრობლემა, როგორც ასეთი, არ გვქონია. ქალებში ჩინელების ჰეგემონია გრძელდება. თანაც ოქროს მედლები მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მონაწილეობის გარეშე მოიპოვეს. ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ ბოლომდე იბრძოდნენ, ყოველ შანსს ებღაუჭებოდნენ. ისე, გალიამოვას სახით ლიდერი რუსეთსაც არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდებმა იყოჩაღეს. საქართველოს გამოცდილი გუნდის ოთხტურიან მარცხიან მარშსვლას კი ახსნა ძნელად თუ მოეძებნება.

შემდეგ იყო ავტოგრაფებზე რიგი, ფოტოგადაღებები, სატელევიზიო ინტერვიუები.

გარი კასპაროვი თავის სტიქიაში გახლდათ — კარგ გუნებაზე, ხალისიანი, შიგადაშიგ ოხუნჯობდა კიდეც.

**ემზარ ზენაიშვილი**

**ბლედი — თბილისი**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნახე, რა ქნა ნახერამ!

## ჩინური ფილოსოფია: შეიყვარე და ითამაშე


REUTERS დალასიდან

ნბა-ში წლეულს მისულმა იაო მინგმა (№11) იქ მეცხრე სეზონს მობურთალ შონ ბრედლის ბურთი დაუმალა

21 ნოემბერი

**დალასი 103:90 ჰიუსტონი**

**დალასი:** ფინლი (28), ნეში (15)

**ჰიუსტონი:** მინგი (30 ქულა, 16 მოხსნა), ფრენსისი (22)

**სიეტლი 85:89 პორტლენდი**

**სიეტლი:** პეიტონი (22), დრობნიაკი (18)

**პორტლენდი:** ველსი (16), უოლესი (13)

**აშკარად** ჩავარდნილი სადებიუტო მატჩების შემდეგ „ჰიუსტონის" ჩინელმა იაო მინგმა ამ ბოლოს ჭკუას მოუხმო, გუშინწინ კი დალასში, სადაც ნბა-ს ჯერჯერობით უყოჩაღესი ბიჭები გარს ბუზებივით ეხვევნენ, 33 წუთში 30 ქულა ჩაუგდო „მავერიქსზს", რასაც 16 მოხსნაც დაურთო და მის ნიჭსა და შესაძლებლობებში ყველაზე მეტად დარწმუნებული რუდი ტომიანოვიჩიც კი გააოცა: „მინგმა ისე ბრწყინვალედ ითამაშა, რომ მისი სიმაღლისა და ტლანქი სხეულის კალათბურთელისგან ეს წარმოუდგენელი იყო. იაო საოცრად სწრაფად მოძრაობდა. ის თანდათან ეჩვევა აქაურობას, რაშიც კალათბურთის უსაზღვრო სიყვარული ეხმარება".

სეზონის ყველა მატჩის მომგები „დალასის" სტუმრობისას ჰიუსტონელებს წარმატების ალბათ ნაკლებად სჯეროდათ, მაგრამ როცა პირველი მეოთხედის მიწურულს მინგი მოედანზე შევიდა, მათ გაბედულობა მოემატათ — ყველაზე ბარაქიანი შეტევის მყოლ დალასელებს სტუმრებმა მკაცრი ზონური დაცვა დაუპირისპირეს და შედეგსაც იმკიდნენ. ჩინელის დახმარებით საკუთარ ფართან მედგარი კედელი აღმართეს, შეტევაში კი ათამაშებული მინგის იმედზე იყვნენ.

ჩინელი ჟირაფი დალასელთა რისხვად გადაიქცა. იგი თითქმის არ აცუდებდა სროლებს და მეურვე შონ ბრედლის სულ თავბედი აწყევლინა. ბრედლი ერთდერთი კაცია ნბა-ში, ვისაც შეუძლია, ჩინელ გოლიათს აუხტომლად თვალი თვალში გაუყაროს. დალასელი ორიოდ სანტიმეტრითაც კი აღემატება მინგს და მასპინძელთა მწვრთნელმა დონ ნელსონმა დრაფტის რჩეულის დაჭერა სწორედ მას მიანდო. რა გამოუვიდა დალასელ წოწოლას, მინგის მოხვეჭილი ქულებიდანაც ჩანს. თავად ბრედლის ანგარიშზე კი ორად ორი მოხსნა და ნული ქულაა.

ჰიუსტონელთა ფარქვეშ უპირატესობას მასპინძელთა ფეხმარდი გამთამაშებელი მაიკლ ფინლი ანეიტრალებდა, ვინაც ამ მატჩში კარიერის უმეტესი, 28 ქულა მოქაფა. თამაში მესამე მეოთხედის შუაწელამდე თანაბრად გაგრძელდა, ამ მომენტისთვის მოედანზე 15 წუთის შესულ იაო მინგს უკვე 21 ქულა მიეთვალა და თუ დალასელები ჩინელს ვერ შეაჩერებდნენ, სეზონში პირველ მარცხსაც უეჭველად იგებდნენ.

ნელსონმა უილაჯო ბრედლის ნაცვლად თამაშში ედუარდო ნახერა შეუშვა, ვისაც მინგის გაუვნებლებაში დალასელთა ლიდერი დირკ ნოვიცკიც ეხმარებოდა და „ჩინური საფრთხე" როგორც იქნა, შეაჩერეს. „ვფიქრობ, მინგის ძალასა და სიმაღლეს ჩემი სისწრაფით ვაჯობე. ვცდილობდი, ყოველთვის ბურთსა და მას შორის ვყოფილიყავი. თუ რამე არ გამომივიდოდა, ჩემი დამზღვევი დირკ ნოვიცკის იმედი მქონდა" — თქვა ნამატჩევს ნახერამ.

ნახერა-ნოვიცკის ჩაუქმა დაცვამ და მოხვეჭილმა ქულებმა „დალასს" ორწუთეული 11:0 მოაგებინა, რამაც ჰიუსტონელები წელში გატეხა. ნელსონის გუნდმა საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა და ნბა-ს სეზონის წაუგებლად დამწყებთა ყველა დროის რეკორდს 3 მოგებით მიუცუცქდა. „დალასს" რიგში 12 გამარჯვება უდგას, საუკეთესონი კი 1948-49 წლის „ვაშინგტონ კეპიტოლზი" და 1993-94 წლის „ჰიუსტონ როკეტსი" არიან ზედიზედ 15-15 მოგებით.

დასავლეთ კონფერენციაში „დალასის" კვალში მდგარმა „სიეტლმა" „პორტლენდთან" წააგო. მასპინძლებს ვერ უშველა სიბერისკენ გადაბიჯებულმა, თუმც კვლავაც მზარდმა კალათბურთელმა გერი პეიტონმა, რომელმაც 14 პასი გააზერხა და 22 ქულა ჩააგდო. მატჩის დამთავრებამდე 9 წამით ადრე მისმა სამქულიანმა 2 ქულით მიაახლოვა „სიეტლი" მომხვდურთ, თუმც ეს იყო და ეს.

**ირაკლი ბერტაია**



# ვინ მოხვდება დასაპატიჟებელთა სიაში

## ნაახალწლევს გაიშლება ჩვენებური ტატამი

**დილმის** საჭიდაო სკოლაში ორ დღეს გასტანა საქართველოს პირველობამ ძიუდოში, რომელიც ყოველწლიურად გვიან შემოდგომაზე იმართება ხოლმე. როგორც ძირითადი, ისე ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა უკან მოიტოვეს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები. ზემოთხსენებული შეჯიბრება კი, ფაქტობრივად, მომავალი წლის სპორტული სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი გახლდათ. საშემოდგომო პირველობა ყველა ძიუდოისტს უტოვებს იანვრის ბოლოს გასამართ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მოხვედრის შანსს, მასპინძლებს თბილისურ ტატამზე ოთხი მონაწილის გამოყვანის უფლება აქვთ თითოეულ წონაში. სტუმრებს კი ორის. თბილისის ტურნირზე ადგილები დაბევებული მხოლოდ ეროვნული ნაკრების პირველ ნომრებს აქვთ, სწორედ ამიტომაც უმეტესობა გაუთვალისწინებელი ტრავმის შიშით თავს არიდებს ხოლმე საშემოდგომო პირველობას. ამ მიზეზით უნდა აიხსნას ნესტორ ხერგიანის, გიორგი რევაზიშვილის, დავით ქევხიშვილის, ივერი ჯიქურაულის თუ ალექსი დავითაშვილის ტატამის ნაცვლად გულშემატკივართა რიგებში გადანაცვლებაც. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა არაერთხელ ხმამაღლა განაცხადა, რომ პირველობის ფინალისტებს გზა ხსნილი აქვთ სპორტის სასახლის ტატამზე საასპარეზოდ. ფინალში გადასასვლელი პრობლემის სიმძაფრემ ამ მიზეზის გამო ერთი-ორად იმატა, რაც შეეხება ფინალებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მომავალი გამარჯვებული გამოკვეთილად ჩანდა, ზოგ წონით კატეგორიაში კი გამარჯვებული უბრძოლველად გამოვლინდა...

ნესტორ ხერგიანის არყოფნით „გაილაღა" თბილისელმა ლაშა სარდანაშვილმა (60კგ). მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, მათ შორის ფინალური შმაგი სონიშვილთან. პრიზიორებს, საგარეჯოელ ვახტანგ ხოსიტაშვილს და ჰოლანდიაში თავგამოჩენილ ქუთაისელ რუსლან გედენიძეს იანვარში ალბათ კიდევ დააჭიდებენ ერთმანეთს.

ნიდერლანდებიდან პრიზიორად დაბრუნებულ ზაზა კედელაშვილს (66კგ) აშკარად გაუჭირდა. ნახევარფინალში, მისთვის ტრადიციულად უხერხული მეტოქე ზეზვა ებელაშვილი მან საკუთარ ილეთზე დაიჭირა. დასანანია, რომ არ შედგა ფინალი მინდია ხომიზურთან. მინდიამ ნატკენი ხელით იჭიდავა და დამატებით დროში ოქროს ქულით დაჯაბნა ლევან მარკოზაშვილი. ცალი ხელით მოჭიდავე ხომიზურმა ხაბარელის გულიც მოიგო და მაყურებლისაც.

ფინალი არც მომდევნო (73 კგ) წონით კატეგორიაში არ გამართულა. მარგოშვილი თავის მოსახელე დავით ნადარაიასთან არ გამოცხადდა. ამ უკანასკნელს ფინალში გადასასვლელი ბრძოლა აშკარად გაუჭირდა დავით ბოდაველთან. ბოდაველების მეორე ძმა, როტერდამის ტატამზე გამარჯვებულ მინდია ვერაფერს გახდა ჩემპიონატის ფავორიტ ზურაბ ზვიადაურთან (90კგ), რომელმაც ყველა ორთაბრძოლა სუფთად მოიგო. თავისი ფინალი ეფექტური ილეთით მოიგო გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ) მარტყოფელ გიორგი შინჯიკაშვილთან. 100 კილოგრამიანებში გიორგი გუგავას გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა. მან დუშელი ლაშა ფეიქრიშვილი დაიბრიყვა. მძიმეწონოსანთა ფინალში ლევან გუჯეჯიანმა დურმიშხან ბერუაშვილი აშკარად დაჯაბნა. სპეციალისტთა აზრით, მურსიაში ახალგაზრდულ თამაშებზე გამარჯვებულ გუჯეჯიანს თბილისის ტურნირზე პრიზიორთა შორის მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

**ზურაბ ტაბატაძე**



# კოჭმოდამტვრეული გოგოები ფეხზე დადგნენ

**პარკ-სიტიში** გამართული შეჯიბრების შემდეგ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სათხილამურო სეზონი სერიოზულად გაიხსნა. სერიოზულად იმიტომ, რომ აქა-იქ გამართული პირველი სტარტების შემდეგ თითქმის თვე გავიდა და იმ შეჯიბრებებს, რომელთაგან ზოგი უთოვლობის, ზოგიც უამინდობის გამო კარგა ხნით გადაიდო, სპორტის მოყვარულები უფრო მსოფლიოს თასის წინ მოწყობილ გენერალურ რეპეტიციებად აღიქვამენ, ვიდრე ბროლის დიდი გლობუსებისთვის ნამდვილ ბრძოლებად.

სამთოთხილამურობის ხუთი დისციპლინიდან პირველობის პატივი გიგანტურ სლალომს ხვდა წილად. პირველი ცდა ავსტრიელმა ალექსანდრა მაისნიცერმა მოიგო. მეორე იყო ლიხტენშტაინელი ბირგიტ ჰებ-ბატლინერი, მესამე — შვეიცარიელი სონია ნეფი. მეორე ცდაზე მაისნიცერმა ზედმეტ რისკს თავი აარიდა და სავსებით გასაგები მიზეზის გამო — ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ სამთოთხილამურობის ეს დიდოსტატი, როგორც იქნა დაუბრუნდა სპორტს და მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობისთვის ამ პირველ სტარტებზე პირველ სამეულში მოხვედრა საკმაოდ სასურველი შედეგი იქნებოდა. დაახლოებით ასეთივე პრობლემები ჰქონდა ხორვატ იანიცა კოსტელიჩს. საბოლოოდ ორივე სპორტსმენმა აისრულა საწადელი — ავსტრიელმა მეორე, ხორვატმა კი მესამე ადგილი დაისაკუთრა. გაიმარჯვა ლიხტენშტაინელმა ვეტერანმა ჰებ-ბატლენერმა და 100 ქულით სათავეში მოექცა მსოფლიოს თასისთვის მებრძოლთა სიას.

პარკ-სიტიში გამართული ეტაპი იმითაც გამოდგა საინტერესო, რომ წინა, ზოლდენში გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებული სამი სპორტსმენიდან ვერც ერთმა შეძლო დისტანციის დამთავრება. ავსტრიელი ნიკოლა ჰოსპი, სლოვენიელი დინა მაზე და ნორვეგიელი ანდრინე ფლემენი ზოლდენში მოპოვებული 100-100 ქულით (სამივე მოთხილამურემ იქ აბსოლუტურად ერთნაირი დრო აჩვენა) ახლა კვალში უდგანან ლიდერს. 85 ქულით მეხუთე პოზიციაზეა შვეიცარიელი სონია ნეფი, მეექვსეზე — იანიცა კოსტელიჩი (84).

**ირაკლი ბერიაშვილი**


REUTERS პარკ-სიტიდან

ბირგიტ ჰებ-ბატლინერი



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

21 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 4:4 რეინჯერსი 1:1 1:2 2:1 0:0**

1:0 ჯონსი (5), 1:1 პოტი (8), 1:2 ნედვედი (28), 2:2 ელიაში (35), 2:3 დვორჟაკი (38), 3:3 ფრიზენი (46), 4:3 ბრილინი (52), 4:4 მესიე (57)

**კოლორადო 1:1 ნეშვილი 1:0 0:0 0:1 0:0**

1:0 რ. ბლეიკი (4), 1:1 ა. იუჰანსონი (41)

**კალგარი 1:3 ედმონტონი 0:0 1:1 0:2**

0:1 მარჩანტი (26), 1:1 ბუზეკი (26), 1:2 ჰორკოფი (44), 1:3 მარჩანტი (60)

**ბოსტონი 3:1 კაროლინა 0:1 2:0 1:0**

0:1 ადამსი (13), 1:1 გ. მიურეი (29), 2:1 როლსტონი (38), 3:1 გ. მიურეი (50)

**ვაშინგტონი 3:4 მინესოტა 0:1 2:2 1:1**

0:1 ლააქსონენი (1), 0:2 ვილე (27), 1:2 გონჩარი (29), 2:2 კლი (35), 2:3 ბრიუნეტი (37), 2:4 დიუპუი (50), 3:4 გრირი (55)

**ოტავა 3:2 მონრეალი 1:0 2:2 0:0**

1:0 სჩასტლივი (15), 1:1 მარკოვი (21), 1:2 თუნო (26), 2:2 ალფრედსონი (34), 3:2 ფილიში

**ტამპა 2:7 აილენდერსი 1:2 0:4 1:1**

1:0 კლაიმერი (1), 1:1 ჯ. ბლეიკი (9), 1:2 პერიში (27), 1:3 ტიმანდერი (26), 1:4 პერიში (33), 1:5 სკაჩარდი (39), 1:6 უიმერი (39), 1:7 ჯ. ბლეიკი (41), 2:7 რუა (60)

**ფილადელფია 2:2 სან ხოსე 0:0 1:2 1:0 0:0**

0:1 სელიანე (23), 0:2 მარლო (31), 1:2 ლეკლერი (34), 2:2 რენიკი (53)

**სენტ ლუისი 3:2 ლოს ანჯელესი 0:1 0:0 2:1 1:0**

0:1 ნორტონი (9), 1:1 ბოგუნიცკი (45), 1:2 მოდრი (56), 2:2 უეიტი (60), 3:2 ხავანოვი (62)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 19 | 10 | 6 | 0 | 3 | 54:36 | 26 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 11 | 1 | 0 | 5 | 47:36 | 23 |
| რეინჯერსი | 22 | 9 | 3 | 0 | 10 | 56:69 | 21 |
| პიტსბურგი | 18 | 7 | 3 | 3 | 5 | 55:56 | 20 |
| აილენდერსი | 20 | 7 | 2 | 0 | 11 | 53:70 | 16 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 19 | 12 | 3 | 1 | 3 | 64:42 | 28 |
| მონრეალი | 20 | 9 | 4 | 0 | 7 | 55:60 | 22 |
| ოტავა | 17 | 9 | 2 | 0 | 6 | 48:44 | 20 |
| ტორონტო | 19 | 7 | 2 | 0 | 10 | 55:57 | 16 |
| ბუფალო | 18 | 3 | 3 | 1 | 11 | 39:51 | 10 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 20 | 11 | 2 | 1 | 6 | 67:55 | 25 |
| კაროლინა | 20 | 8 | 4 | 3 | 5 | 44:46 | 23 |
| ფლორიდა | 21 | 6 | 4 | 4 | 7 | 49:65 | 20 |
| ვაშინგტონი | 20 | 8 | 2 | 0 | 10 | 43:54 | 18 |
| ატლანტა | 18 | 5 | 1 | 1 | 11 | 47:68 | 12 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 18 | 12 | 1 | 0 | 5 | 63:44 | 25 |
| დეტროიტი | 18 | 11 | 2 | 0 | 5 | 57:39 | 24 |
| ჩიკაგო | 19 | 9 | 3 | 0 | 7 | 47:44 | 21 |
| კოლუმბუსი | 19 | 8 | 2 | 2 | 7 | 57:54 | 20 |
| ნეშვილი | 19 | 2 | 4 | 4 | 9 | 37:57 | 12 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 21 | 12 | 4 | 0 | 5 | 60:44 | 28 |
| ვანკუვერი | 19 | 10 | 4 | 0 | 5 | 57:49 | 24 |
| კოლორადო | 20 | 6 | 6 | 3 | 5 | 55:54 | 21 |
| ედმონტონი | 20 | 8 | 3 | 1 | 8 | 53:55 | 20 |
| კალგარი | 20 | 5 | 3 | 3 | 9 | 41:55 | 16 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 21 | 12 | 4 | 1 | 4 | 67:45 | 29 |
| ლოს ანჯელესი | 20 | 8 | 3 | 3 | 6 | 51:56 | 22 |
| ანაჰაიმი | 20 | 8 | 3 | 3 | 6 | 50:51 | 22 |
| სან ხოსე | 20 | 7 | 2 | 2 | 9 | 58:65 | 18 |
| ფინიქსი | 20 | 7 | 2 | 1 | 10 | 49:62 | 17 |

# ბამბის ჯილდოები


REUTERS

ბერლინში დიდი, ცნობილი და ხმაურიანი ყეენობა გაიმართა. ცნობილ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელმა „ბურდა ველა ჯგუფმა“ თავისი „ბამბი“-ჯილდოები ჩამოურიგა შოუ-ბიზნესის, სპორტის, პოლიტიკის და ლიტერატურის ცნობილ ადამიანებს. ფეხბურთის ამბავში ეს ჯილდო გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა მიიღო თვით ფრანც ბეკენბაუერის ხელიდან. მოცურავე ფრანცისკა ვან ალმზიკმა კი „ბამბი“ იმისთვის დაიმსახურა, რომ ასე შთამბეჭდავად დაუბრუნდა სპორტს. ცნობილ სახეს კი მრავალს მოჰკრავდით თვალს: აი, ბორის ბეკერი და მაიკლ ჯექსონი.




REUTERS

# მოხეტიალე რაინდი

„ნიუკასლის“ მენეჯერი სერ ბობი რობსონი კვლავ ბუკინგემის სასახლეშია თავის მეუღლე ელსისთან ერთად. მხცოვან მწვრთნელს ამ გაზაფხულზე მიენიჭა „სერის“ ტიტული, გუშინ კი უელსის პრინცმა, უფლისწულმა ჩარლზმა ის ოფიციალურად ჰკურთხა რაინდად. ბობი რობსონი მოხეტიალე მწვრთნელადაცაა ცნობილი, ლამის მთელი ევროპა მოუვლია გუნდების გასაწვრთნელად.


REUTERS


REUTERS

# ვოლაბებთან გენუაში

გენუაშია ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრები, რომელიც შაბათს მასპინძელ იტალიელებს დაეჯახება. ავსტრალიელივე მოდელი ან გეილი მშვენივრად გრძნობს თავს „ვოლაბებთან“ და ეს ჯანიანი ბიჭებიც ხალისობენ ეგეთი ლამაზი ქალის გვერდით.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბელეიშვილი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge